შესრულდა ერთი წელი
სკკპ ცენტრალური კომიტეტის
ივნისის პლენუმის
მოწვევიდან

ვიყოთ მუდამ
ცხოვრების შუაგულში,
მივაღწიოთ იდეოლოგიური მუშაობის
ქმედითობას ყველგან და ყველაფერში!

ალვზარდოთ მშრომელები კომუნიზმის სულისკვეთებით

უკვე ერთი წელი გავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმიდან, რომელმაც განიხილა იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები. პლენუმმა შემოქმედებითად გაამდიდრა ჩვენი პარტიისა და ქვეყნის მთელი იდეური ცხოვრება, ყოველმხრივ განსაზღვრა იდეოლოგიური ფრონტის, დიადი მომავლის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფრონტის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკმაოდ დიდი მუშაობა გასწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ახლა ისინი აჯამებენ ამ მუშაობის ერთი წლის შედეგებს, განიხილავენ იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და სახავენ მომავალ ამოცანებს. მონაცემები ცხადყოფენ, რომ უკანასკნელ ხანს იდეური ცხოვრება მნიშვნელოვნად გააქტიურდა, განუზომლად გამდიდრდა მისი შინაარსი, ამაღლდა აღმზრდელობითი მუშაობის იდეური დონე, გაიზარდა მისი ქმედითობა, მაორგანიზებელი და აღმზრდელობითი როლი.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი პარტიული ორგანიზაცია, შემოქმედებითად ახორციელებს ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას, ახლა უფრო ღრმად და ყოველმხრივ განმარტავს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, განამტკიცებს იდეოლოგიური მუშაობის კავშირს ცხოვრებასთან, უფრო ფართოდ იყენებს ყველა მრავალფეროვან ფორმას, უფრო მოქნილად და დიფერენცირებულად ეწევა პროპაგანდასა და აგიტაციას.

თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის საქალაქო, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს დასხვა პარტიული კომიტეტების მაგალითი გვიჩვენებს, რომ იდეოლოგიური საქმიანობის ბევრი ახალი, საგულისხმო ფორმა შეიქმნა ერთი წლის მანძილზე. მაგრამ მომავლისათვის შესასრულებელიც ცოტა როდია.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მისი შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საჭიროა იდეოლოგიურ მუშაობას მომავალშიც მწვავე, შეტევითი ხასიათი ჰქონდეს, რომ იგი საგნობრივი და მიზანსწრაფული იყოს. ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის იდეური შინაარსი — ეს ნიშნავს საფუძვლად დავუდოთ მას კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, პროპაგანდაში ჩავაქსოვოთ პარტიული შემოქმედებითი სულისკვეთება, მგზნებარება და რწმენა.

განვახორციელოთ ცხოვრებასთან იდეოლოგიური მუშაობის კავშირი — ნიშნავს დავეყრდნოთ საბჭოთა სინამდვილეს, კომუნისტური სულისკვეთებით ადამიანთა აღზრდის ამ გადამწყვეტ საფუძველს. პირველ პლანზე წამოვწიოთ აქტუალური, საჭირბოროტო საკითხები, მთელი ყურადღება მივაქციოთ ძირითად საკითხს — მასების შრომით აღზრდას, დავარწმუნოთ მასები იმაში, რომ ბრძოლა ჩაის, ყურძნის, მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის — ეს არის ბრძოლა ამავე დროს კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრებისთვისაც.

წელიწადნახევარი დარჩა შვიდწლედის დამთავრებამდე. ახლა მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი მიმართულება ის უნდა იყოს, რომ დაჩარაზოთ მასები შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და წარმატებით განხორციელებისათვის.

რამდენადაც ცხოვრება წინ მიდის და იზრდება ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული ამოცანები, ამდენადვე იზრდება იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებიც. ის, რაც გუშინ სავსებით აკმაყოფილებდა ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას, დღეს საკმარისი აღარ არის. ამიტომაც იდეოლოგიური დარგის ყველა მუშაკი მუდამ უნდა იყოს აჩქარის ძიებაში, მხარდამხარ მიჰყვებოდეს ცხოვრებას და იყოს მის ავანგარდში. მუდამ გვახსოვდეს დიდი ლენინის სიტყვები: „მუშაობის ბარეშე, ბრძოლის გარეშე კომუნიზმის მწიგნობრული ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან და ნაწერებიდან სრულებით არაფრად აღ ღირს, რადგან ის განაგრძობდა ძველებურ გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას შორის“.

ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის ერთობით აღვზარდოთ კომუნიზმის აქტიური და მედგარი მებრძოლები, ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ შრომის იდეური, მორალური სტიმული. პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, იდეოლოგიური ფრონტის ყველა ჯარისკაცის მოვალეობა ბრძოლა პრინციპისათვის — „ვინც არ მუშობს, ის არ ჭამს“. აქტიური ყურადღება მივაქციოთ მშრომელების აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. დროა საზოგადოებრივი უადაღა დავადოთ მუქმაბორებსა და ზარმაცებს, ვინც ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას. იჩენს კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, ამოლაფარობს და ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვა გამოვლინებებს.

ამოცანა ის არის, რომ იდეოლოგიური მუშაობით მოვიცვათ თვითეული საბჭოთა ადამიანი და ამისათვის თანმიმდევრულად ვიბრძოლთ. თუ ეგმპანიურობა, იერიშობანა ყველა საქმეში საზიანოა, მით უმეტეს იგი ათმაგად საზიანოა იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში. აქ საქმე ეხება ჩვენი ეპოქის ადამიანს, მის შინაგან სამყაროს, რომელსაც სურს რაც შეიძლება მეტი კარგი მოისმინოს, ნახოს, წაიკითხოს. დაატკბეს ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშებით. იგი თვისებრივად სრულიად ახალი ადამიანია, რომელიც საწარმოო ძალების განვითარებასა [illegible] მისა და [illegible] ბომალდებს [illegible] რმოების დონემდე აიყვანა. ასეთი ადამიანი ვერ მოიხმენს აგიტატორის, პროპაგანდისტის ლექტორის, პოლიტიკური მომხსენებლის ისეთ საუბარსა თუ ლექციას, ვერ უყურებს ისეთ ფილმებს, თეატრალურ დადგმას, ვერ წაიკითხავს ისეთ წიგნებს, რომელიც თავისი იდეური შინაარსით ჩვენს ეპოქას არ შეესატყვისება. ამიტომაც უნდა სრულყოფილ, ავამოქმედოთ და ყოველი ღონისძიებით გავააქტიუროთ იდეური ზემოქმედების ყველა საშუალება და ბერკეტი, არსებითად გავაუმჯობესოთ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა ერთი წლით როდი ამოიწურება. იგი ჩვენი მომავალი მუშაობის პროგრამაა. პარტია კვლავაც მოგვიწოდებს მივაღწიოთ იდეოლოგიური მუშაობის ახალ აღმავლობას. ამოცანა სავსებით რეალურია და მისი შესრულება სავსებით შესაძლებელი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ახლა კიდევ უფრო უნდა აამაღლონ იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბნის ხელმძღვანელობის დონე. საჭიროა ყველა, უწინარეს ყოვლისა პარტიული კომიტეტების ყველა ხელმძღვანელი მუშაკი, ყველა პარტიული ორგანიზაცია ეწეოდეს საგაბატაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას არა დროდადრო, არამედ მუდმივად, ყოველდღიურად, ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად. პარტიული მუშაკი უწინარეს ყოვლისა მასების ადამზრდელია, და მისთვის არ არსებობს იმაზე საპატიო საქმე, ვიდრე მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების პროპაგანდა.

ავიყვანოთ იდეოლოგიური მუშაობა ახალ, მაღალ საფეხურზე — ასეთია საადღესასწაულო ამოცანა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 141 (12957) | ხუთშაბათი, 18 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვი დანიაში

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ე. ო. კრაგის მოლაპარაკება

კოპენჰაგენი, 17 ივნისი (საკდესის სპეც. კორ.). 17 ივნისს დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვსა და დანიის პრემიერ-მინისტრ ე. ო. კრაგს შორის.

მოლაპარაკების დროს, რომელიც მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გულახდილი, საესარგებლო გაზიარება ფართო წრის საკითხებზე, რომლებიც შეეხება საბჭოთა კავშირისა და დანიის ურთიერთობას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ე. ო. კრაგმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირსა და დანიას შორის კარგი კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა, და განაცხადეს, რომ მზად არიან ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ და განავითარონ ეს ურთიერთობა საბჭოთა ხალხისა და დანიელი ხალხის ინტერესებისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები პ. ა. სატიუკოვი, ა. ი. აჯუბეი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი დანიაში კ. დ. ლევიჩკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ლ. მ. ზამიატინი, ა. ე. კოვალიოვი.

დანიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ჰეკერუპი, სოფლის მეურნეობის მინისტრი კ. სკიუტე, კულტურის მინისტრი ი. ბომბოლტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი პ. ფიშერი, დანიის ელჩი სსრ კავშირში კ. ჰოლტენ-ეგერტი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები გ. სეიდენფადენი, კ. იუჰანსენი და ე. კრისტენსენი.

* * *

დღეს დღისით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს კერძო აუდიენცია ჰქონდა დანიის მეფესთან ფრედერიკ IX ფრედენსბორგის სასახლეში, კოპენჰაგენის მახლობლად.

საპატიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად დანიის მეფემ საუზმე გამართა.

17 ივნისს დაიწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოლაპარაკება დანიის პრემიერ-მინისტრ ე. ო. კრაგსა და დანიის მთავრობის წევრებთან.

სურათზე: მოლაპარაკების დაწყების წინ (მარცხნიდან მარჯვნივ) ე. ო. კრაგი, ნ. ს. ხრუშჩოვი, თარჯიმანი და დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ჰეკერუპი.

ფოტო აპ-საკდესისა (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

მოსავალი ავიღოთ თორმეტ დღეში!

ჰექტარზე — 22 ცენტნერი ხორგალი

თავთავდამძიმებულ ყანებში კვლავ სიცხის ალმური ტრიალებს. მოლარსა და შირაქში მექანიზატორებმა წინა დღით დაწყებული ალოობა განაგრძეს.

გივი სიმონიძემ ველ-მინდვრებში მუშაობა ტრაქტორის მომბველობით დაიწყო. ახლა მარტო ტრაქტორს კი არა, „მინდვრის ხომალდსაც“ ზუსტად მართავს. დროდადრო ზღვასავით გაშლილ ყანას გახედავს და სვლას უმატებს. მანქანა „სკ-4“ შეუფერხებლად მუშაობს. დღეში რვა ჰექტარი უნდა მომკას. მაგრამ განა ამას სჯერდება? სიმონიძემ პირველ დღეს ცხრა ჰექტარზე აიღო მოსავალი, მეორე დღეს 10 ჰექტარზე.

ყანებში შეავლენენ გ. ყორიაშვილის, მ. კობიაშვილის, გ. ნასრაშვილის, ვ. სიმონიძისა და ე. თემურაზოვის კომბაინები.

მალე მასობრივად გაჩაღდება სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვა. ჯაფარიძის კოლმეურნეობის (სილფაღლის რაიონი) ავტომძღოლები 25.000 ცენტნერ ხორბალს მიიტანენ სახელმწიფოს ბელლებში.

კოლმეურნეობის თავკაცის ნიკოლოზ ყოჩიაშვილის უბის წიგნაკში შარშან ოცდამეერთე მოსავლის აღება ჩაიწერა.

— წელს რამდენი ცენტნერი იქნება ჰექტარზე?

— თქვენ თვითონ ნახეთ, — გვითხრა ყოჩიაშვილმა, და ავტომანქანა ყანებისაკენ დაძრა. ცხადია, კოლმეურნეობის მთელ ფართობს — 2.222 ჰექტარს ვერ შემოვივლიდით, მაგრამ სადაც ვიეავით, დავრწმუნდით, რომ ჯაფარიძელთა სიბეჯითეს კარგი ნაყოფი გამოსულია. ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერზე მეტიც იქნება! გამრჯე ადამიანებს უხვი მოსავალი მოპყავთ. ბარაქალა მათს მარჯვენას!

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: მოწინავე კომბაინერი გ. სიმონიძე, რომელმაც ვალდებულება იკისრა სეზონში მომკას 250 ჰექტარი პურეული.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჩვენი სტუმრები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 4-დან 16 ივნისამდე საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. გრიგოროვის მეთაურობით.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ივანოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე ვ. კოცევი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და განათლების განყოფილების გამგე ს. ვასილიევი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის სოფიის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ზახარიევა და სხვ.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ბულგარელი ამხანაგები გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილებას.

დელეგაცია სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ვ. პოდგორნოს, მ. ა. სუსლოვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. ი. ილიჩოვს. დელეგაციას აგრეთვე შეხვედრები ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებაში, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტსა და სკკპ ქალაქ მოსკოვის სვერდლოვის რაიონულ კომიტეტში.

ბულგარეთის პარტიული მუშაკები იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში, ეწვიენენ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას, მოსკოვმეტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს „პროექტდეტალიონ“ საცდელ ქარხანას, გაეცნენ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაციამ იმოგზაურა ჩვენს ქვეყანაში. უზბეკეთში ბულგარელი ამხანაგები ეწვივნენ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და კოლმეურნეობებს, შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს უზბეკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შ. რ. რაშიდოვსა და სხვა ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს. ირკუტსკის ოლქში დელეგაციამ ნახა ბრატსკის ჰიდროელექტროსადგური.

დელეგაციას საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს ახლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ილიჩოვი.

15 ივნისს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სადილი გამართა ბულგარეთის დელეგაციის პატივსაცემად. საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ პ. ნ. დემიჩევი, ლ. ი. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. იმავე დღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩომ დარბაზობა გამართა ბულგარეთის პარტიულ მუშაკთა დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნის გამო.

16 ივნისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა დელეგაციის დასკვნითი საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ლ. თ. ილიჩოვი და ბ. ნ. პონომარიოვი. საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მადლობით დათანხმდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევაზე, რომ ბულგარეთში გაგზავნოს პარტიულ მუშაკთა დელეგაცია ბულგარელ კომუნისტთა იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების გასაცნობად.

იმავე დღეს დელეგაცია სოფიას გაფრინდა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების VI პლენუმი

მუშაობა დაამთავრა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის VI პლენუმმა, რომელიც მიეძღვნა ჩვენი რესპუბლიკის თეატრებია მომდინარე სეზონის შედეგებს.

პლენუმმა, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მას დაესწრნენ საქართველოს თეატრების რეჟისორები და მსახიობები, მწერლები, კომპოზიტორები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შესაფალი სიტყვით პლენუმი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა **დ. ანთაძემ.** მოხსენება „რესპუბლიკის თეატრების მომდინარე სეზონის შედეგები“ წაიკითხა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსმა **ვ. ჭელიძემ.** თანამოხსენება გააკეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ **თ. ჯანელიძემ.**

კამათში მონაწილეობდნენ — მწერალი **მ. მრეველიშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გ. ახვლედიანი,** თეატრმცოდნეები **ნ. შავგირაძე, ნ. ურუშაძე, ე. გუგუშვილი, ნ. შალუტაშვილი, დ. ჯანელიძე,** მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გ. ლორთქიფანიძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი **ნ. ყიასაშვილი,** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **ა. ჩიმაკაძე,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ს. ზაქარიაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **ბ. ულენტი,** აფხაზთის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილე **შ. გაბესკირია,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ვ. ანჯაფარიძე,** რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი **ა. ჩხარტიშვილი,** საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები **მ. პიასეცკი, ბ. კობახიძე, კ. მახარაძე, ნ. ჩხეიძე,** რესპუბლიკის სახალხო არტისტი **მ. ჯაფარიძე,** ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი **ო. ეგაძე,** რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რეჟისორი **მ. თუმანიშვილი,** თეატრალური ინსტიტუტის რექტორი **ი. თავაძე,** რეჟისორი **რ. სტურუა,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე **ა. დვალიშვილი,** დრამატურგი **ვ. კანდელაკი.**

პლენუმის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **თ. ბუაჩიძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამხ. **დ. სტურუამ.** (საქდესი).

მილიონობით ახალი წიგნი

მოსკოვი, 16 ივნისი. (**საკდესის კორ.**). დღეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონში „საბჭოთა პრესა“ გაიხსნა იმ ცენტრალური და ადგილობრივი გამომცემლობების მუშაკთა სრულიად საკავშირო სემინარი, რომლებიც უშვებენ სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურას. სემინარზე ერომანეთის გაუზიარებენ გამოცდილებას თვრამეტი ცენტრალური გამომცემლობის—„ნაუკას“, „ზნანიეს“, „კოლოსის“, „ქიმიის“, „ნედრას“, „მაშინოსტროენიეს“ და სხვა გამომცემლობების, აგრეთვე რესპუბლიკურ და სამხარეო გამომცემლობათა თანამშრომლები.

სემინარზე განიხილავენ მოხსენებებს, მიძღვნილს მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების წიგნების გამოცემის გაუმჯობესებისადმი.

პავილიონში „საბჭოთა პრესა“ გაიხსნა წიგნის დიდი გამოფენა. მისი ექსპოზიცია ცხადყოფს, რომ გასულ წელს ქიმიის საკითხებზე გამოცემულია 2.200-ზე მეტი სახელწოდების წიგნი 24 მილიონი საერთო ტირაჟით, სოფლის მეურნეობის საკითხებზე — 7.800 წიგნი 48 მილიონი ტირაჟით. ზოგიერთ წიგნს მიეცა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლები, აღინიშნა პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა საუნივერსიტეტო-ტექნიკური საზოგადოების დიპლომებით და პრემიებით.

სემინარი 20 ივნისამდე გაგრძელდება.

დიდი გზის ეფაკეები

ლენინგრადი, 17 ივნისი. (საკდესის კორ.). ერმიტაჟის მუზეუმის თეატრის ფოიეში გაიხსნა მსოფლიო ხელოვნების საგანძურის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა „ერმიტაჟი და მაყურებელი“.

ხელნაწერებს, კატალოგებს, სამეცნიერო გამოცემებს შორის, რომლებიც აშუქებენ ერმიტაჟის რევოლუციამდელ ისტორიას, წარმოდგენილია ნაწყვეტი ეკატერინე მეორის წერილიდან ბარონ გრიმისადმი. „ყოველივე ეს თაგვებისა და ჩემი შესაქცევარიაო“, — წერდა იგი.

მუზეუმის ახალი ისტორიის დასაწყისს ასახავს დეკრეტები, განკარგულებები, იშვიათი ფოტოსურათები, მასალები, რომლებიც 1917-1920 წლებს განეკუთვნება. აქ არის განცხადება პირველი გამოფენის შესახებ, ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილი არიან რევოლუციონერი მუშები და ჯარისკაცები, რომლებიც ფრთხილად დგამენ მუზეუმის დარბაზებში ყუთებს განძეულითურთ...

ბევრი აფიშა, ფოტოსურათი, წიგნი გვიჩვენებს ერმიტაჟის პოპულარობას. ყოველწლიურად მუზეუმს ორი მილიონი კაცი ათვალიერებს.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია გაიხსნება 1964 წლის 19 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი 24, ტელეფონი: 3-08-54 და 3-37-63.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა შედგება 19 ივნისს დილის 9 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

პრინცესა აშრაფ ფეჰლევი თბილისში

17 ივნისს სოჩიდან თბილისს ჩამოვიდა ირანის შაჰის და პრინცესა აშრაფ ფეჰლევი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით. პრინცესასთან ერთად ჩამოვიდნენ მისი მეუღლე დოქტორი მეჰტი ბუშეჰრი და ვაჟიშვილი მაჰრამი.

მის იმპერატორობით უმაღლესობასთან ერთად ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს სპეციალი სტუმრის თანმხლები პირნი — რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ლ. პ. ლიოგა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ლ. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე მ. მ. ვოლკოვი.

თბილისის აეროპორტში მორთულია ირანის, საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. ირანის პრინცესას აშრაფ ფეჰლევის შესახვედრად აქ მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი მეუღლითურთ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ა. გიგოშვილი, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ლ. ა. საყვარელიძე, ე. ა. სალუქვაძე, მ. ე. თოფურიძე, მ. ვ. ჩახავა, საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ა. ჯაგახიშვილი, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

აეროდრომიდან მისი იმპერატორობითი უმაღლესობა და სხვა ირანელი სტუმრები მათთვის გამოყოფილ რეზიდენციაში გაეგზავნენ. ხანმოკლე დასვენების შემდეგ აშრაფ ფეჰლევი, მისი მეუღლე მეჰდი ბუშეჰრი და ვაჟიშვილი მაჰრამი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ ბალეტ „ოტელოს“. (საქდესი).

გავაძლიეროთ ბრძოლა პირუტყვის უმეთვალყურო ძოვების წინააღმდეგ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ბოლო დროს გახშირდა პირუტყვის უმეთვალყურო ძოვების შემთხვევები საავტომობილო გზების გაყოლებით, რაც საფრთხეს უქმნის საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობას. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, საგზაო ორგანები და მილიციის მუშაკები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ საკითხს. ამავე დროს შეუწყნარებელია პირუტყვის ძოვების წესის დარღვევა ფართოდ განვითარებული ტურიზმისა და იმ მაგისტრალურ საავტომობილო გზებზე გაცხოველებული მოძრაობის პირობებში, სადაც ტურისტული მარშრუტი გადის.

საავტომობილო გზებზე ნორმალური და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

პირუტყვის (მსხვილი და წვრილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხენის, ღორის და სხვ.) ძოვება საკაშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაყოლებთან შეიძლება გზიდან 30 მეტრამდე ფარგლებში, მხოლოდ დამბულად, გზიდან 30-100 მეტრის მანძილზე კი მუდმივი მეთვალყურეობით.

ის პირი, ვინც პირუტყვის ძოვების ამ წესს დაარღვევს, დაჯარიმდება 5 მანეთით, ხოლო წესის განმეორებით დარღვევისას ჯარიმა 10 მანეთამდე დიდდება.

იმ შემთხვევაში, თუ პირუტყვის ძოვების წესის დარღვევას თან მოაყვა უბედური შემთხვევა (ადამიანის დაღუპვა, დაშავება ან სხვა მძიმე შედეგები), დამნაშავე მანქანის მძღოლთან ერთად მიცემულ იქნება სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

დაკავებული უმეთვალყურო პირუტყვი, თუ მისი პატრონის ვინაობა გამოუნაგვეველია, დადგენილი წესის შესაბამისად, დროებით გადაეცემა უახლოეს კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას, ხოლო შემდგომ, თუ პატრონი არ აღმოჩნდა, დაკავებული პირუტყვი უსასყიდლოდ გადაეცემა საკუთრებად კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ დადგენილების შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა შშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებს, მილიციის ორგანოებსა და საგზაო ორგანოებს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დავალათ გადამწყვეტი ზომები მიიღონ, რათა მოაწესრიგონ პირუტყვის ძოვება საავტომობილო გზების გაყოლებით, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოაწყონ მოსახლეობაში. (საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-

იდეოლოგიური მუშაობა და ცხოვრება

> თანამედროვე ეტაპზე მთელ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია ყველა მშრომელის აღზრდა მაღალი იდეურობისა და კომუნიზმისადმი ერთგულების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, გულუბრყვილო შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმონაშთების სრული აღმოფხვრა, პირადების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნა.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

პროპაგანდის აქტიური ფორმა ცხოვრების მოთხოვნაა!

„ადებით მაგალითებზე ადამიანთა აღზრდა, მოწინავე გამოცდილების გავრცელება კომუნისტური შეგნებულობის ჩამოყალიბების ქმედითი საშუალებაა, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა სწრაფად გადავიდეთ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის აქტიურ, შემტევ ფორმაზე.

„მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებას, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — მარტო პრესაში და კინოში როდი უნდა ვაუშქებდეთ. საჭიროა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ ბრიგადაში ვესაუბროთ ადამიანებს, რომლებმაც უნდა დანერგონ წარმოებაში სიახლენი, შევამოწმოთ ეს ადამიანები და ვასწავლოთ მათ შრომის ახალი მეთოდები, დავეხმაროთ, რომ ათვისონ ეს თუ ის მოწინავე საწარმოო პროცესი“.

და მართლაც, ცხოვრებამ დაადასტურა, თუ რა დიდი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმას, როცა ადამიანი თავისი თვალით ნახავს, შეისწავლის და გამოიყენებს მოწინავე ადამიანთა შრომის მეთოდებს. ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები მკლავებდაკაპიწებული ებრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, იერიში მიაქვთ სოფლის მეურნეობაში ახალ-ახალი ზღუდეების დასაპყრობად, მოწინავეთა გამოცდილების ამ ფორმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კარგად გაიგეს, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში წარმოების დაბალი დონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ გაბიდულად არ ინერგებოდა მეცნიერების ახალი მიღწევები, მოწინავე ადამიანთა შრომის მეთოდები. და აი წელს პარტიის ბრძნული მითითებიდან მათ სერიოზული დასკვნები გააკეთეს.

მიმდინარე წლის მარტში პარტიული კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ჩვენი საწარმოო სამმართველოს მშრომელთა დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რაგოთი ადამიანები, გაეგზავნენ გორის საწარმოო სამმართველოს სოფელ ფლავის, სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ჯაფარიძისა და ზემო მაჩხანის კოლმეურნეობებში. მოწინავე გამოცდილების გაცნობის მიზნით ახალციხელი მშრომელები იყვნენ აგრეთვე მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ შრომის ორჯონიკიძისა და ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში ისინი ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მეურნეობებში გულდასმით გაეცნენ პარტიულ-პოლიტიკური, სამეურნეო საქმიანობის, წარმოების ორგანიზაციის, ეკონომიკისა და მატერიალური დაინტერესების საკითხებს.

კოლმეურნეობის შრომა-საქმიანობამ დელეგაციის წევრებში დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ისინი შეუდგნენ ადგილობრივი პირობების შესაბამისად შრომის იმ მეთოდების დანერგვას, რომლებსაც მოწინავე მეურნეობებში გაეცნენ.

ამჟამად ახალციხის საწარმოო სამმართველოს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ინერგება შრომის დამატებითი ანაზღაურების პრინციპი. ითმასთვის, რომ მოწინავე გამოცდილება თვითეული შრომელის კუთვნილება გახდეს, ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან რაიონის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები. გარდა ამისა, გამოშვებულ იქნა პლაკატი და ცალკე ბიულეტენი, რაც კარგ დახმარებას უწევს სოფლის შრომელებს იმაში, რომ თვალნათლივ გაეცვნენ, თუ რა მეთოდებით შეიძლება მაღალი მოსავლის მიღება და შრომის ორგანიზაციის განმტკიცება.

მაგრამ მარტო სხვა საწარმოო სამმართველოებს მოწინავეთა გამოცდილების შესწავლაზე როდი ვამახვილებთ ყურადღებას. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მთავარ ყურადღებას ვუთმობთ იმას, რომ რაიონში გვყავს შესანიშნავი ადამიანები და მოწინავე ბრიგადები. პირველ რიგში საჭიროა მათი გამოცდილების ფართოდ გავრცელება.

ამ მიზნით რეგულარულად იმართება შეგასარაიონო საწარმოო ექსკურსიები. მაგალითად, ამას წინათ აწყურის საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო მექანიზებული ფერმებისა და ხელოვნური რძის მიღების ტექნოლოგიის საკითხების გაცნობა.

მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციისათვის ამჟამად საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში შექმნილია 80-მდე სხვადასხვა სახის მოწინავეთა გამოცდილების სკოლა. ყველაზე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სოფელ გიორგიწმინდის კოლმეურნეობაში არსებულმა მესიმინდეთა გიორგი ჩანიძის გამოცდილების სკოლამ. ამ სკოლაში სიმინდის მოყვანის ოსტატობას ეუფლებოდა აწყურის საბჭოთა მეურნეობის მესიმინდეთა კომკავშირული რგოლი, რომელსაც ლეონა ღონღაძე ხელმძღვანელობს.

რგოლმა, რომელშიც საშუალო სკოლადამთავრებული 10 კომკავშირელი გოგონაა გაერთიანებული, შარშან მოსავლელად ჩაბარებული 10 ჰექტარი სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე მოელ მესხეთში სიმინდის მოსავლიანობის სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია — ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 110 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ამით 18 ცენტნერით გადააჭარბეს 1962 წლის მოსავლიანობის მაჩვენებელს. ლ. ღონღაძის რგოლის გამოცდილებას ახლა სოფელ წინუბნისა და აგარის კოლმეურნეობების ახალგაზრდები სწავლობენ.

კარგად მუშაობს აგრეთვე ადიგენის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავის ნადეჟდა სუხოვეევას გამოცდილების სკოლა. ეს ახალგაზრდა მწველავი რძის მიღების სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევს.

დაბა ვალეს კოლმეურნეობის გამოცდილებას ამჟამად სწავლობს საწარმოო სამმართველოს ყველა კოლმეურნეობა, ხოლო აწყურის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილებას—საბჭოთა მეურნეობები. საუცხო წარმატებები აქვთ საყურადღებელ მეცხოველეებს. მათს გამოცდილებასაც გულმოდგინედ ეცნობა ადგილობრივ მეურნეობებს. ამ მიზნით აგრეთვე ადიგენის ბერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეფერმეთა ბრიგადა.

პარტიული კომიტეტის ბიუროს მიმდინარე წლის 7 მარტის დადგენილებით შექმნილია მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადების შტაბგარეშე განყოფილება, რომელსაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შალვა წოქვაძე ხელმძღვანელობს. შტაბგარეშე განყოფილებას აქვს კონკრეტული სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვით ეწევა ნაყოფიერ მოღვაწეობას.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ განსაკუთრებით ქმედითია პროპაგანდის აქტიური ფორმა. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს პრაქტიკულად გავაცნოთ მოწინავეთა გამოცდილება, შემდეგ კი მოვთხოვოთ მისი დანერგვა სამუშაოზე. აი სწორედ ეს არის სადღეისო ამოცანა!

პროპაგანდის ახალი ფორმების მომარჯვებამ უკვე მოგვცა თავისი პირველი პრაქტიკული შედეგებიც. გაიზარდა მშრომელთა აქტივობა, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა ორი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულეს. მაღალხარისხოვნად, აგროტექნიკურ ვადებში განხორციელდა საგაზაფხულო სამუშაოები. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს სხვადასხვა სასოფლო-სა მეურნეო სამუშაოები.

ეს კი იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ მოწინავეთა შრომის მეთოდები სულ უფრო ფართოდ იჭრება ცხოვრებაში.

ი. ხარისჩარიშვილი.

ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

ეს დაიგადა ივნისის პლენუმის შემდეგ

ხელოვნება — ფართო მასებს!

„ადამიანის საქმიანობა, რა დარგშიც უნდა მიმდინარეობდეს იგი, მხოლოდ მაშინ არის დასაფასებელი და პატივისცემის ღირსი, როდესაც „ამ საქმიანობის შედეგი უდავოდ ნაყოფიერი და ხალხისათვის სასარგებლოა. ამ მხრივ ხელოვნების არც ერთი დარგი გამონაკლისს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით მუსიკა. იგი პოეზიასთან, მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ყველაზე მასობრივი, ადამიანთა სულიერ ცხოვრებასთან ყველაზე ახლო მდგომი ხელოვნებაა.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ მუსიკა მარტო გართობის, ესთეტიკური ტკბობის საგანი როდია. მუსიკას ადამიანის შეგნებაზე, მის გრძნობებზე ზეგავლენის მოხდენის უდიდესი ძალა აქვს.

როდესაც მუსიკის ხელოვნებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სამი ძირითადი პროცესი: შემოქმედება ანუ საკუთრივ მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნა, ამ ნაწარმოებთა შესრულება საგანგებოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ და მესამე — მოსმენა ასობით და ათასობით ადამიანის მიერ. დავიწყოთ ამ უკანასკნელით.

მუსიკის მრავალსახოვან ჟანრებს შორის ძირითადად გამოირჩევა ორი დარგი: ერთი — ეგრეთწოდებული „დიდ ლგასაგები“, ადვილად ასათვისებელი, მასობრივი მუსიკა (ხალხური სიმღერა, საესტრადო მუსიკა, მუსიკომედია, ნაწილობრივ ოპერა და ბალეტი) და მეორე — „სერიოზული“ მუსიკა (სიმფონია, სონატა, კვარტეტი, ინსტრუმენტული კონცერტი და ა. შ.), რომლის გაგება ერთბაშად, ერთი-ორი მოსმენით შეუძლებელია. ამიტომ არის, რომ საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიებების გამოყენება, რათა მუსიკის ეს რთული დარგიც გასაგები და მისაწვდომი გახდეს ფართო მსმენელთათვის. ამ მხრივ ჩვენში, საქართველოს ფილარმონიასთან ერთად, უაღრესად სასარგებლო მუშაობას ეწევა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი.

გასული წლის განმავლობაში კავშირმა გამართა არაერთი გამსვლელი პლენუმი. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის, რადიოს ორკესტრის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასულე ორკესტრის, კამერული ანსამბლების და ცნობილი სოლისტების მონაწილეობით კავშირმა მოაწყო ღია კონცერტები თბილისში, თელავში, გორში, ცხინვალში, ახალციხესა და აჭარაში. ღია პლენუმის ამ კონცერტებზე, გარდა ლექტორებისა, მოხსენებებითა და შემოქმედებითი გეგმების გაზიარებით გამოდიოდნენ თვით კომპოზიტორებიც. ამ კონცერტების დამსწრე რიცხვმრავალი აუდიტორია გულწრფელი კმაყოფილების გრძნობას გამოთქვამდა დიდი ესთეტიკური სიამოვნების გამო.

თბილისში მოეწყო კომპოზიტორთა შეხვედრა ოქტომბრის რაიონის მშრომელებთან. ერთ-ერთ დიდ საწარმოში მოეწყო კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის შეხვედრა მუშებთან შესავენების დროს. იქვე, საწარმოში გამართულ სიმფონიურ კონცერტს თვით ბალანჩივაძე ხელმძღვანელობდა.

ასეთი უაღრესად სასარგებლო ღონისძიებანი დიდი ხანია ტარდება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში. აუცილებელია ამგვარ ღონისძიებას მიეცეს სისტემატური ხასიათი და გადაიზარდოს ფრიად ნაყოფიერ ტრადიციაში.

გასულ წელს კავშირმა გამართა რამდენიმე საშეფო კონცერტი საბჭოთა არმიის ნაწილებში. მასობრივ-მუსიკალური მუშაობის ეს ფორმაც ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მომავალში.

ცნობილია, რომ ახალს, ნოვატორულ მუსიკალურ ნაწარმოებს ადამიანი უფრო ძნელად თვისებს, ვიდრე დიდი ხნიდანვე ნაცნობს, მტკიცედ დამკვიდრებულს. ამიტომ არის, რომ კლასიკურ მუსიკას უფრო მეტად ეტანება არაპროფესიული მსმენელთა აუდიტორია, ვიდრე ახალს, თანამეროვეს. თანამედროვე მუსიკის ფართო გაცნობისა და ათვისების მიზნით კომპოზიტორთა კავშირში შემოღებული იქნა ე. წ. „მუსიკალური პარასკევები“, რომლებიც ჯერ კავშირის წევრებს იზიდავდნენ, ახლა კი, როდესაც დარწმუნდნენ ამ „პარასკევების“ უეჭველ მნიშვნელოვანებაში, საჭირო გახდა მათი არეს გაფართოება. ასეთ შეკრებილობათა მოწყობამ უნივერსიტეტში, სტუდენტთა წრეებში ცოცხალი გამოხმაურება ჰპოვა, რაც იმის დადასტურებაა, რომ ახალი მუსიკის პოპულარიზაციის ამ ფორმამ ფართო გავრცელება უნდა ჰპოვოს მოსწავლეთა, მშრომელთა წრეებში.

კლასიკური და საბჭოთა მუსიკის სისტემატური პროპაგანდის მიზნით, კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით, ჩამოყალიბდა კამერული ორკესტრი დირიჟორ გიგა აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით. მის მიერ გამართულ კონცერტებს თბილისსა და მოსკოვში დიდი წარმატება ხვდა. ეს კი საბჭოთა ორგანიზაციებს ავალებს საჭირო ყურადღებისა და რეალური დახმარების აღმოჩენას ამ ნიჭიერი კოლექტივისადმი, რომელსაც მომავალში ფრიად საჭირო და სასარგებლო მუშაობის გაწევა შეუძლია რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც.

უდავოდ მისასალმებელია კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივა — ღრმად გაეცნოს რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასში. კავშირი გაეცნო თბილისის საოპერო თეატრის, მუსკომედიის, ფილარმონიის და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუსიკალური მაუწყებლობის მუშაობას.

თუ კომპოზიტორთა კავშირის ამ ხაზით მოღვაწეობას დავუმატებთ ფილარმონიის, მუსიკალური თეატრების, რადიოსა და ტელევიზიის ყოველდღიურ მუშაობას, ადვილი წარმოსადგენია მასშტაბები, რომლებითაც მომდინარეობს კლასიკური და თანამედროვე მუსიკის პოპულარიზაცია. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება საკონცერტო პროგრამების მხატვრული ხარისხის განუხრელი ზრდისადმი. ჩვენში არაფერი კეთდება კლასიკოს და თანამედროვე კომპოზიტორთა ამ „პარასკევების“ უეჭველ მნიშვნელოვანებაში, საჭირო გახდა მათი არეს გაფართოება. ასეთ შეკრებილობათა მოწყობამ უნივერსიტეტში, სტუდენტთა წრეებში ცოცხალი გამოხმაურება ჰპოვა, რაც იმის დადასტურებაა, რომ ახალი მუსიკის პოპულარიზაციის ამ ფორმამ ფართო გავრცელება უნდა ჰპოვოს მოსწავლეთა, მშრომელთა წრეებში.

კლასიკური და საბჭოთა მუსიკის სისტემატური პროპაგანდის მიზნით, კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით, ჩამოყალიბდა კამერული ორკესტრი დირიჟორ გიგა აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით. მის მიერ გამართულ კონცერტებს თბილისსა და მოსკოვში დიდი წარმატება ხვდა. ეს კი საბჭოთა ორგანიზაციებს ავალებს საჭირო ყურადღებისა და რეალური დახმარების აღმოჩენას ამ ნიჭიერი კოლექტივისადმი, რომელსაც მომავალში ფრიად საჭირო და სასარგებლო მუშაობის გაწევა შეუძლია რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც.

უდავოდ მისასალმებელია კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივა — ღრმად გაეცნოს რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასში. კავშირი გაეცნო თბილისის საოპერო თეატრის, მუსკომედიის, ფილარმონიის და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუსიკალური მაუწყებლობის მუშაობას.

ხალხის მხარდამხარ

შეხვედრა კლენუმის მონაწილესთან

აბას ფინაევ ლაგოდეხის კულტურის სახლში მოეწყო თემატური საღამო, მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების - გადაწყვეტილებებისადმი.

საღამოზე მოწვეულ იქნა კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მონაწილე ლ. დობრონეიკი, რომელმაც დამსწრეთ გაუზიარა პლენუმზე მიღებული შთაბეჭდილებანი.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელმა დ. ბარნაბიშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე „ქიმია ხალხის სამსახურშია“.

„პატარა სოფლის დიდი საქმეები“, „თამბაქოს დაავადება და მისი წამლობა“ — ასეთი საუბრებით გამოვიდნენ აგრონომები მ. ალავერდაშვილი და ნ. დემეტრაშვილი.

მ. გოგოსაშვილი.

ეს დაიგადა ივნისის პლენუმის შემდეგ

ილინი, რომლებიც შორიდან უყურებდნენ დარჩელის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებს და იქ მოფუსფუსე ადამიანებს, თავდაპირველად ვერ გაერკვნენ, რაში იყო საქმე, შემდეგ კი, როცა ერთ-ერთი ბუჩქის თავზე ვერცხლისფერ თმას მზის სხივები გაეთამაშნენ და ადამიანის მკერდზე ოქროს ვარსკვლავებიც აკიაფდნენ, ყველამ იცნო ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, სახელგანთქმული მეჩაიე თამარ ყუფუნია.

ბუჟურების პროპაგანდისტული ჯგუფი

იგი ყოველი ბუჩქის ძირს გულმოდგინედ აკვირდება, იქვე იძლევა შენიშვნებსა და რჩევა-დარიგებას, ადგილობრივ მეჩაიეებს პრაქტიკულად უჩვენებს ოსტატობასა და გამოცდილებას.

კარგა მოშორებით ამავე კოლმეურნეობის სიმინდის ყანებია. აქ კი ცნობილი მესიმინდე კოტე სანდუხაძე მოსულა სოფელ ორსანტიიდან და იძლევა სასარგებლო მითითებებს:

— ამ ნაკვეთზე მცენარეები მჭიდროდ აღმოცენებულან, სიმინდი ტაროს ვერ გამოიტანს, ახლავე საჭიროა გამოხშირვა...

საღამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, თითქმის მთელმა სოფელმა კულტურის სახლის ვრცელ დარბაზში მოიყარა თავი. კოლმეურნეები ინტერესით ისმენენ მოხსენებას მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე, შემდეგ კი გამოდიან სხვა ორატორები — შუჟურების პროპაგანდისტული ჯგუფის წევრები...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მოწინავე გამოცდილების გავრცელება, დადებითი მაგალითით მშრომელთა აღზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელოვანი პირობა, კომუნისტური შეგნებულობის ჩამოყალიბების ქმედითი საშუალებაა. და აი, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტში დაიბადა აზრი — შეექმნათ შუჟურების პროპაგანდისტული ჯგუფი, რომელიც პრაქტიკულად განახორციელებდა საწარმოო სამმართველოს მეურნეობებში შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას.

პარტიული კომიტეტის იდეოლოგიურ განყოფილებასთან შექმნილ შუჟურების პროპაგანდისტულ ჯგუფში გაერთიანებულია 14 უხვი მოსავლის ოსტატი. მათ შორის არიან: ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია, ცნობილი მესიმინდეები კ. სანდუხაძე და კ. ჯოჯუა, რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი ა. შულაია, მოწინავე მეჩაიეები ნ. პაკელიანი, ვ. სხულუხია და სხვები.

როგორ გეგმავენ თავიანთ მუშაობას ჯგუფის წევრები?

ყოველი მომდევნო თვისათვის ისინი ადგენენ სამუშაო გეგმას. სხდომაზე ამტკიცებენ გრაფიკს, ჯგუფის რომელი წევრი უნდა წავიდეს ამა თუ იმ მეურნეობაში. შუჟურებთან ერთად მინდვრებსა და პლანტაციებში მიდიან პოლიტიკური მომხსენებელი ან ლექტორი, მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივი. ამგვარად იქმნება სპეციალური აგიტბრიგადა, რომელიც ადგილზე კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ეხმარება საველე ფურცლების, კედლის გაზეთის გამოშვებაში, საველე ბიბლიოთეკის მოწყობაში. სოფლის მეურნეობის მშრომელებისათვის იკითხება ლექციები თემებზე: „ქიმიის როლი სოფლის მეურნეობაში“, „მეცნიერების ახალი მიღწევები სოფლად“, „საწარმოო სამმართველოს მშრომელთა ამოცანები მიმდინარე წელს“, აგრეთვე იმართება საუბრები მიმდინარე პოლიტიკისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე. საღამოს ეწყობა კონცერტი.

შუჟურების პროპაგანდისტული ჯგუფის მუშაობის ერთი წლის გამოცდილებამ ცხადყო, თუ რა სასარგებლო შედეგი მოსდევს იმას, რომ უხვი მოსავლის ოსტატები ადგილებზე პრაქტიკულად განაზოგადებენ თავიანთ გამოცდილებას. მათ უკვე მრავალი მიმდევარი ჰყავთ. შარშან კ. ჯოჯუას და კ. სანდუხაძის მიმდევარმა მესიმინდე თამაზ ბესელიამ ჰექტარზე საშუალოდ 127 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ხოლო თ. ყუფუნიას მიმდევრებმა, სოფელ ჭკადუაშის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ც. გულორდავამ და ნ. ჯინჯოლავამ 0,5 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 6.700 — 6.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს.

ახლა ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში მუშაობის ცხარე დღეებია. მასობრივად მიმდინარეობს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. სულ უფრო და უფრო ბევრი მეჩაიე კრეფს ასლა იმ შუჟურების მაგალითით, რომლებიც პროპაგანდისტული ჯგუფის წევრები არიან.

ა. ზურაბაშვილი.

ჩვენს კომუნისტურ შრომის სკოლაში

როცა შარშან რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კომუნისტური შრომის ორი სკოლა შეიქმნა, ბევრ ამხანაგს დაუბადა კითხვები: როგორ იქნება აგებული ამ სკოლების მუშაობა, რა ახალს ველით მათგან? მაგრამ ამ კითხვებზე პასუხი თვით დრომ, სწავლების პრაქტიკამ გასცა.

განვლილმა ერთმა წელმა ცხადყო, რომ სკოლებმა ხელი შეუწყეს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, მოწინავე გამოცდილების დანერგვას, . პროდუქციის წარმოების გადიდებას, მისი თვითღირებულების შემცირებას, ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას.

პარტიული ორგანიზაცია სკოლების დაკომპლექტებისას ითვალისწინებდა მუშების არა მარტო საერთო საგანმანათლებლო დონეს და კვალიფიკაციას, არამედ მათს მონაწილეობასაც კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში.

კომუნისტური შრომის სკოლის ქართულ სექტორზე ჩარიცხულ იქნა 18, ხოლო რუსულ სექტორზე — 30 მუშა. პროპაგანდისტებად დავამტკიცეთ აგლო-საბრძმედე უბნის მთავარი მექანიკოსი ნ. მაისურაძე და ხაამქროს ელექტრიკოსი ა. ბასილაევი.

სწავლის დაწყების პირველ ხანებში მთელ რიგ სიძნელეებს წავაწყდით. არ გვქონდა სასწავლო გეგმა. გვაკლდა სათანადო გამოცდილება. პროპაგანდისტთა ერთ-ერთ სემინარზე შევიმუშავეთ სასწავლო გეგმა, რომელშიც შევიტანეთ შემდეგი საკითხები: კომუნისტური შრომა; კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი; შრომის ნაყოფიერების ზრდის გზები რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში; თუჯის, ფოლადის, ნაგლინისა და ფოლადის მილების თვითღირებულების შემცირება; კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა და მისი ამოცანები; სოციალისტური შეჯიბრების მიღწევები რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში; მუშათა კულტურული დონის ამაღლება; კომუნიზმი და ოჯახი და სხვ. გზადაგზა გეგმაში ვითვალისწინებდით ისეთ საკითხებსაც, რომლებიც თვით მსმენელებმა დააყენეს თავიანთ წინადადებებში.

სკოლაში არა მარტო ლექციები იკითხება, არამედ იმართება ცოცხალი საუბრები და შემოქმედებითი დისკუსიებიც. სკოლის პროპაგანდისტები ამა თუ იმ თემის გაშუქების დროს იყენებენ საწარმოს საქმიანობის შედეგებს, მოწინავეთა გამოცდილების მაგალითებს.

იმ სკოლის ერთ-ერთ მეცადინეობაზე, რომლის პროპაგანდისტია ა. ბასილაევი, მოხსენებით გამოვიდა სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბრძმედის უფროსი ოსტატი ა. ძამაშვილი, რომელმაც მსმენელებს მოუთხრო ჩვენს ქარხანაში კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარების შესახებ.

სკოლაში მიღებული ცოდნა მსმენელებს ეხმარება წარმოების სრულყოფაში. მაგალითად, სკოლის მსმენელმა, ზინაალთა ბრიგადრმა ე. ენუქიძემ შეიტანა რაციონალიზატორული წინადადება, რომელმაც საამქროს საშუალება მისცა დამტვრეული კოქსის მისაწოდებელი რთული მექანიკური მოწყობილობა შედარებით სრულყოფილი, გამძლე მოწყობილობით შეეცვალა.

ამავე სკოლის მსმენელები ზეინკალი გ. თხელიძე და სააირე მეურნეობის ოსტატი გ. გორდაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში. ინიციატივისა და თვითმოქმედების ნიმუშებს გვიჩვენებენ მექანიკური საოსტატოს ბრიგადრერები ბ. ტკაჩენკო, გ. გორშკოვი, აგრეთვე სკოლის სხვა მსმენელები.

განზრახული გვაქვს მომავალი სასწავლო წლისათვის კომუნისტური შრომის სკოლები ჩამოვაყალიბოთ მთელ რიგ საამქროებში.

ვეცდებით განვამტკიცოთ პირველი წარმატებანი.

ზ. კვასაძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანის მოადგილე.

ეს დაიგადა ივნისის პლენუმის შემდეგ

იცნობდეთ, კომუნისტური ყოფაცხოვრების სახლია

ირგვლივ ბავშვების ჟრიამული ისმის. ვინ საქანელაზე ქანაობს, ვინ კალათბურთის თამაშობს, უფროსი მოზრდილები კი ლამაზად შეღებილ გრძელ სკამებზე სხედან, კითხულობენ, საუბრობენ. დიასახლისებს ხელსაქმე გამოუტანიათ, ბუჭანე ნარგავებს შორის მყუდრო ადგილი მოუძებნიათ.

მობინადრე გ. საგინაშვილი, რომელსაც ერთგული მეგობარ შეარქვეს, საგულდაგულოდ რწყავს მწვანე ნარგავებს და ათასფერად მოკიაფე ყვავილებს. იქვე მრგვალ აუზში შადრევნები ჩქეფენ. ორასამდე მეტრის სიგრძეზია გადაჭიმული ეს თვალწარმტაცი ბაღი ლამაზი გაზონებით და ბილიკებით ხუთსართულიანი სახლის წინ.

ამ სანმუშო ეზოს მოსაწყობად დიდი შრომა დასჭირდათ პეკინის ქუჩის № 73 სახლის მცხოვრებლებს. აქ რომ გადმოსახლდნენ, მარცხენა და მარჯვენა კორპუსი ჯერ კიდევ დასამთავრებელი იყო. ეზოში საშენი მასალის აუარებელი ნარჩენი ეყარა, შიწის გორები იდგა. სახლის მთლიანი მშენებლობა რომ დამთავრდა, მშენებლებს რატომღაც გაუჭირდათ ეზოს კეთილმოწყობა.

ერთ დღეს იოსებ მღებრიშვილი ეზოს რამდენიმე ბინადარს ესაუბრა. მთ მოიწონეს მისი წინადადება, და როცა იოსები პირველი გამოვიდა სამუშაოდ ბარით ხელში, მას მხარში ამოუდგა დიდი და პატარა.

და ასე, მობინადრეები ყოველდღე შრომობდნენ კეთილშობილური მიზნით: — სანმუშო გაეხადოთ საკუთარი ეზო! შემდეგ სახლის საზოგადოებრივი კომიტეტიც ჩამოაყალიბეს. თავმჯდომარედ ყველამ ერთხმად ი. მღებრიშვილი დაასახელა. კომიტეტის წევრებად აირჩიეს კ. დალაქიშვილი, ი. გურგენიძე, გ. ფიცხელაური და თ. გიორგობიანი. სახლის მობინადრეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმედ გადაიქცა ეზოს კეთილმოწყობა, ახალი თაობის ქეიჩიდან მოწყვეტა და მათი გონივრულად აღზრდა.

კომიტეტის თავმჯდომარე ხშირად მართავდა საუბრებს მობინადრეებთან, ისმენდა მათს წინადადებებს ეზოს კეთილმოწყობის შესახებ. ყველაფერთან ერთად გადაწყვიტეს ებრძოლათ კომუნისტური ყოფაცხოვრების სახლის სახელის მოსაპოვებლად.

სახლის ბინადარნი ახლა ორნაირად ამაყობენ; მათ აქვთ კეთილმოწყობილი ეზო, ხოლო მომდინარე წლის დასაწყისში თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით პეკინის ქუჩაზე მდებარე № 73 სახლს კომუნისტური ყოფაცხოვრების სახლის სახელი მიენიჭა.

ახლა № 73 სახლის მისამართით მრავალი წერილი მოდის რიგიდან, ბაქოდან, ერევნიდან...

— ეს შესანიშნავი წამოწყებაა. სიხარულით ვეგებებით და ვეცდებით, რომ ეს ღონისძიება ჩვენი ქალაქის ყველა ეზოში გავაფრცელოთ.

— დიდი სიამოვნებით ვებმებით თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში, — წერენ რიგის ალიეიას ქუჩა № 8 სახლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე კ. ბოლოტაჩი, ბაქოს შირვანის ქუჩის № 15 სახლის საზოგადოებრივი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ისმაილოვი და ერევნის მურაცანი ქუჩის № 113 სახლის საზოგადოებრივი კომიტეტის თავმჯდომარე ა. საკიანი.

სახლის საზოგადოებრივ კომიტეტს 16 სკოლასთან აქვს კავშირი. იგი დიდ ინტერესს იჩენს ბავშვთა აკადემიური წარმატებისა და მათი ყოფაქცევისადმი.

დვინტერესდით, თუ კიდევ რის გაკეთებას აპირებს მობინადრეთა კომიტეტი. მისი თავმჯდომარე დიდი ხალისით მოგვიყვა, რომ ეზოში უნდა აშენონ ორსართულიანი თანამედროვე ტიპის პავილიონი, სადაც იქნება სამკითხველო, პიონერთა ოთახი, ტექნიკური კაბინეტი. გაიხსნება აგრეთვე საკლასო ოთახი ჩამორჩენილი მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ამავე სახლის მცხოვრები მასწავლ

საუკუნეებით განმტკიცებული მეგობრობა

შასტრის პოლიტიკური კრედო

კვლავ დალასის ტრაგედიის გამო

იაპონიის შავი სამშაბათი

ᲙᲕᲘᲠᲝᲕᲐᲡᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

კოპენჰაგენი, 17 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დანიის დედაქალაქის მკვიდრნი ამტკიცებენ, რომ არც ერთ უცხოელ სტუმარს არ მიუპყრია ესოდენ დიდი ყურადღება და ესოდენ დიდი ინტერესი, როგორც მიიპყრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. რომელიც ახლა ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება დანიაში. მართლაც, ეს ინტერესი ძალიან დიდია. სადაც უნდა გამოჩნდეს ნიკიტა სერგის-ძე, რომელ ქუჩაშიც უნდა გაიაროს, ყველგან მიესალმება ასობით და ათასობით კოპენჰაგენელი, რითაც გამოხატავენ თავიანთ პატივისცემას საბჭოთა კავშირისადმი, გამოხატავენ მისწრაფებას, განმტკიცდეს და განვითარდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა სახელმწიფოსთან.

დღეს დედაქალაქის ყველა გაზეთი რამ დ ე ნ ი მ ე გვერდს უთმობს მასალებს, რომლებიც შეეხება საბჭოთა მთავრობის მეთაურის ყოფნას დანიაში. დაბეჭდილია უამრავი ფოტოსურათი, ამ მოვლენისადმი მიძღვნილი რეპორტაჟები. დანიის რადიო და ტელევიზია დღეში რამდენჯერმე გადასცემენ სპეციალურ პროგრამებს ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შესახებ. კოპენჰაგენში ჩამოვიდა სამასზე მეტი უცხოელი კორესპონდენტი, რომლებიც ადრე დილიდან გვიან საღამომდე კვალდაკვალ დახდევენ საბჭოთა სტუმარს, სასტუმრო „როიალთან“, სადაც საბჭოთა მთავრობის მეთაური ცხოვრობს, მუდამ დგას ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც სურთ დაინახონ კაცი, რომელიც ყველაზე პოპულარული პიროვნება გახდა დანიაში.

გაზეთმა „ექსტრაბლადეტმა“ რუსულ ენაზე დაბეჭდა მისალმება ნ. ს. ხრუშჩოვისადმი. „თქვენა ხართ წარმომადგენელი ერისა, — ნათქვამია მისალმებაში,— რომელთანაც დანიას საუუნეთა განმავლობაში მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენ განსაკუთრებით გვახსოვს საბჭოთა კავშირის დიდი წვლილი ნაციზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში, რამაც დიდი დახმარება გაგვიწია დანიის განთავისუფლებაში.

დანიელი და საბჭოთა ხალხები, სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაში ცხოვრობენ, ბევრ დიდ პრობლემაზე სხვადასხვა შეხედულება გვაქვს. მაგრამ ორივე ხალხისათვის საერთოა მზრუველე სურვილი თავიანთი წვლილი შეიტანონ დაძაბულობის შენელებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

იმ იმედით, რომ განუწყვეტლივ გაიზრდებიან და განმტკიცდებიან კეთილი ძალები, რომლებსაც მშვიდობა და თავისუფლება მოაქვთ დედამიწის ყველა ხალხისათვის, „ექსტრაბლადეტი“ გისურვებთ კარგად და სასარგებლოდ გაგატარებინოთ დრო დანიაში“.

მთელი რიგი სხვა გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ გულთბილ შეხვედრას, რომელიც ხაბჭოთა მთავრობის მეთაურს მოუწყვეს გუშინ ქალაქის რატუშის მოედანზე.

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ“

ჰავანა, 17 ივნისი. (საკდესი). ამ დღეებში კუბის დედაქალაქის მცხოვრებლები ნახავენ „საბჭოთა გალეტის მარსკვლავებს“ — დიდ სპეტაკლს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დიდი თეატრის, ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის, საქართველოსა და სომხეთის თეატრების სოლისტები.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲐ

ჯაკარტა, 16 ივნისი (საკდესისა და „პრავდის“ კორესპონდენტები). „საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ინდონეზიაში, უეჭველია, კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობასა და თანამშრომლობას, რაც ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს. ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს აგრეთვე ურთიერთგაგების შემდგომ გაღრმავებას და ამ იდეალების განხორციელებას, რომლებსაც ჩვენი ხალხები ესწრაფვიან“, — განაცხადა საკდესისა და „პრავდის“ კორესპონდენტებთან საუბარში ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ჰაირულ სალეჰმა იმასთან დაკავშირებით, რომ ინდონეზიაში ვიზიტად მოელიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილის ა. ი. მიკოიანის მეთაურობით.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაციას მეთაურობს საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ანასტას მიკოიანი, განაგრძო ჰაირულ სალეჰმა. ჩვენთვის ცნობილია, თუ რა მაღალი მდგომარეობა უკავია ა. ი. მიკოიანს საბჭოთა კავშირის მთავრობაში. იგი საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეა. სავსებით ბუნებრივია, რომ ინდონეზიის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა პარლამენტარების ვიზიტს. ამ ვიზიტს ინდონეზიის საზოგადოებრიობაც დიდ ყურადღებას უთმობს.

დარწმუნებული ვარ, თქვა ჰაირულ სალეჰმა, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროებში.

ჩვენ დიდად ვიფასებთ საბჭოთა კავშირთან მეგობრობას, განაგრძო ჰაირულ სალეჰმა. მნიშვნელოვანი და კონკრეტული წვლილი, რომელიც საბჭოთა კავშირს შეაქვს დამოუკიდებელი ინდონეზიის განვითარებაში, ამავე დროს წვლილია იმ საქმეში, რისთვისაც იბრძვიან აზიისა და აფრიკის ხალხები. საბჭოთა კავშირი მეგობრობაზე მარტო ლაპარაკობს, მაგალითად, ნ. ს. ხრუშჩოვის ამსწინანდელი ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. ვიზიტმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირი რეალურ დახმარებას უწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას და აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებს არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, არამედ თავდაცვითი ძლიერებისა და ეკონომიური ძლიერების შექმნაში. ისეთი პოზიცია ჩვენ სწორ პოზიციად მიგვაჩნია.

ინდონეზიის პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სუბამიამ თქვა: „ისეთი მეგობარი სახელმწიფოს წარმომადგენლთა კეთილი ნების ყოველ ვიზიტს, როგორიც ჩვენთვის საბჭოთა კავშირია, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ნელს უწყობს ურთიერთობისა და პირადი კონტაქტების განმტკიცებას. ეს ვიზიტები ხელს უწყობს აგრეთვე ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გაუმჯობესებას. სსრ კავშირის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ინდონეზიაში შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოების ინტერესებს, ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში“.

ვ. მატიაში,
ვ. შურიგინი.

Უ ᲢᲐᲜᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 16 ივნისი. (საკდესი). 27 ივნისს ვადა გაუხდის კვიპროსში განლაგებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ ჯარების 3 თვის მოქმედების რწმუნებას, რომლებიც შეიქმნა უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი — დღეს გამოქვეყნებულ მოხსენებაში ურჩევს საბჭოს ეს ვადა კიდევ 3 თვით გაგრძელოს, დაწყებული 27 ივნისიდან.

ᲓᲘᲓ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲐᲜᲘ

ჟენევა, 16 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი გ. დრაგუნოვი იტყობინება:

დღეს 18 ქვეყნის კომიტეტის სხდომაზე საბჭოთა მთავრობის პოზიცია საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების მომზადების საკითხში ჩამოაყალიბა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა. მან აღნიშნა, რომ კომიტეტმა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მიაღწია რაიმე პროგრესს ატომური განიარაღების დარგში. ამის მიზეზია დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია იმ საკითხში, თუ როგორ უნდა მოხდეს ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა ლიკვიდაცია, როგორ მოისპოს თვით ატომური იარაღი და როგორ გაუქმდეს უცხოეთის სამხედრო ბაზები სხვათა ტერიტორიაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების გეგმა „ეტაპობრივი ატომური განიარაღების“ შესახებ გვიჩვენებს, რომ ვაშინგტონში, როგორც ჩანს, იმედი აქვთ, ისე წარმართავენ განიარაღება, როცა გარკვეულ მომენტში ამერიკის შეერთებულ შტატებს მაინც ექნებათ უნარი მძლავრი ატომური დარტყმისა, ხოლო მეორე მხარე უკვე დაკარგავს ამ უნარს, თქვა ვ. ა. ზორინმა.

უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის პრობლემაში აგრეთვე გამოსჭვიოს ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება შეინარჩუნონ გარკვეული სამხედრო უპირატესობანი მეორე მხარის უშიშროების ინტერესების საზიანოდ.

მაგრამ, თქვა შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა, არის შესაძლებლობანი, რომ აღმოიფხვრას უთანხმოებანი, მიღწეულ იქნეს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი. თუ დასავლეთი თანანმდგომ იქნება განიხილოს ახალი საბჭოთა წინადადებანი, 18 ქვეყნის კომიტეტის მუშაობაში შეიძლება დაიწყოს ახალი და მრავალსაფეხურიანი ეტაპი.

ვ. ა. ზორინმა 18 ქვეყნის კომიტეტის წევრთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ოტო ვინცერის წერილს 18 ქვეყნის კომიტეტის თანათავმჯდომარეებისადმი იმ საკითხზე, რომ ორივე გერმანულმა სახელმწიფომ სავსებით უარი თქვეს ატომურ იარაღზე.

ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივას და ხაზი გაუსვა, რომ ბონის მთავრობის დემონსტრაციული უარი განიხილოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადება, ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები ცდილობენ ხელი იგდონ ატომური იარაღი.

დღევანდელ სხდომაზე გამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და კანადის წარმომადგენლები, რომლებიც შეეხნენ საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის სხვადასხვა ასპექტს. მაგრამ მათ დუმილით აუარეს გვერდი იმ საკითხს, რომელიც ბუნებრივად წამოიჭრა უკანასკნელ ხანს სსრ კავშირის ახალ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ეს საკითხია, თანახმაა თუ არა დასავლეთი სეროზულად განიხილოს საბჭოთა წინადადება „რაკეტულ-ატომური ქოლგის“ შესახებ? იმაზე, თუ რა პასუხს გასცემენ ამ კითხვაზე, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ჟენევის მოლაპარაკების პროგრესი.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲙᲐᲚᲙᲣᲢᲐᲨᲘ

დელი, 17 ივნისი (საკდესი). კალკუტაში გაიხსნა გამოფენა სამეცნიერო ხელსაწყოების და მოწყობილობისა, რომლებიც დამზადებულია სსრ კავშირში. გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატთა შორის, იუწყება გაზეთი „ამრიტა ბაზარ პატრიკა“, დამთვალიერებელთა ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ელექტრონულმა ხაზომმა ხელსაწყოებმა, საცდელმა აპარატურამ, ფოტოაპარატებმა და მოყვარულთა კინოკამერებმა, სხვადასხვა მარკის საათებმა, მიკროსკოპებმა და სხვა ოპტიკურმა მოწყობილობამ, რომლებიც მეტად მაღალი ხარისხით განირჩევა.

გამოფენის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა დასავლეთ ბენგალიის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ტარუნ კანტი გჰოშმა, რომელმაც დიდად შეაფასა საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარება და განაცხადა, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის შეიხებით საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი უველაზე მძლავრი სახელმწიფო გახდა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

გამოფენა გაგრძელდება 25 ივნისამდე.

ᲮᲣᲗᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

კოპენჰაგენი, 16 ივნისი (საკდესის სპეც. კორ.). ხუთი საუკუნის მეგობრობა — ასეთია თემა გამოფენისა, რომელიც დღეს გაიხსნა კოპენჰაგენის სახვითი ხელოვნ ე ბ ი ს მუზეუმში.

გამოფენა, რომელსაც ჰქვია „სსრ კავშირი და დანია — ხუთასი წელი“, აშუქებს დიდი ხნის მეგობრულ ურთიერთობას, რაც დამყარდა დანიასა და რუსეთ-საბჭოთა კავშირს შორის.

გამოფენა გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. კ. რომანოვსკიმ.

მან მადლობა გადაუხადა გამოფენის ორგანიზატორებს, რომ მათ საშუალება მისცეს საზოგადოებრიობის ფართო წრეებს გაეცნონ დოკუმენტებს, რომლებიც ახასიათებს დანიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთობას.

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 16 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ლ. ბ. შასტრიმ დაიკავა ეროვნული საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პოსტი.

კომისიის წევრად დანიშნული არიან შინაგან საქმეთა მინისტრი გუზარილალ ნანდა, ფინანსთა მინისტრი ტ. კრიშნამაჩარი, მრეწველობის მინისტრი სარდარ სვარან სინგჰი, დაგეგმვის სახელმწიფო მინისტრი ბალი რამ ბჰაგატი და სხვა პირნი.

ᲨᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

დ ე ლ ი, 16 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ლ. ბ. შასტრიმ, რომელიც დღეს ვარდაპში (მახარაშტრის შტატი) ჩავიდა განდისტთა მოძრაობის ლიდერთან აგარია ვინობა მხავესთან შესახვედრად, მოუწოდა ხალხს ითანამშრომლოს მთავრობასთან ინდოეთის პროგრესისა და აყვავების საქმეში.

დიდ მასობრივ მიტინგზე ვარდაპში შასტრიმ განაცხადა: ჩემს სამსახურს ინდოეთისადმი მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიჩნევ სასარგებლოდ, თუ შეეძლებ მოვიპოვო ხალხის მხარდაჭერა მთავარი პრობლემების გადაჭრაში. ამ პრობლემათა შორის შასტრიმ დასახელა გლეხობის მდგომარეობა, უმუშევრობა და სიღატაკე.

ᲙᲝᲛᲐᲠᲣᲚᲘ ᲦᲐᲛᲔ ᲜᲘᲘᲒᲐᲯᲐᲨᲘ

ტ ო კ ი ო, 17 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბირიუკოვი იტყობინება: კომშარული ღამე გაატარეს ნიიგატის მცხოვრებლებმა. ეს ქალაქი ყველაზე უფრო დაზიანდა გუშინდელი მიწისძვრისაგან: ქალაქში არ იყო არც შუქი, არც წყალი, არც პური, არც გაზი, არც კავშირგაბმულობის საშუალებანი. ლაფი, რომლითაც ქალაქი აივსო, კაცს წელამდე წვდებოდა.

ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში მიედინებოდა ლტოლვილთა ნაკადები. ხალხი ძლივს მიიკვლევდა გზას ლაფში, ბორძიკობდა ოღრო-ჩოღრო მიწაზე, შიშით გვერდს უვლიდა ნაპრალებს, რომლებმაც მთელი ქალაქი დასერა. ქალებს ბავშვები აეტატებიათ. ჯიბის ფარნების სუსტი სინათლე ხან ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის ჩამონგრეულ კედელს განათებდა, ხან კრამიტგადაცლილ სახურავებს, რომლებზედაც საბნებში გახვეული სახლის პატრონები ან გზით დაღლილი ლტოლვილები ელიან გათენებას. წყალიცა და მიწაც საწვავის სუნით არის გაჟღენთილი, რომელიც მთელ ქალაქს მოედო აფეთქებული საცავებიდან.

აქა-იქ სახლთან განათებულ პატარა დუქნებში ვაჭრობენ, ხალხი რიგებში დგას, მაგრამ არც პური, არც ნამცხვარი, არც წყალი. ჯერ არ მოსულა წყლის ცისტერნები, რომლებიც ქალაქში გამოგზავნეს, მდინარის წყალი კი არ დაილევა — ნავთობით არის სავსე. წყურვილით დატანჯული ადამიანები კასრებით დაძრწიან ქალაქში, სასმელ წყალს ეძებენ. ქალაქის მცხოვრებლებს ის ფაქტიც აწუხებს, რომ არ იციან რა მასმენობის უბედურება დაატყდათ თავს. ლტოლვილების, ურიკების, ველოსიპედისტების ნაკადი, მშიერი ბავშვების ტირილი, ნავთობსაცავებში ავარდნილი ალი — ყველაფერი გვაგონებს ქალაქს, რომელმაც დაბომბვა გადაიტანა.

დღეს დილით რადიოთი გადასცეს ცნობა, რომ ქალაქს ახალი საფრთხე ემუქრება.

ალმოკიდებული ნავთობის ავზებიდან, რომლებიც „სიოოა სეკიუს“ კომპანიას ეკუთვნის, ცეცხლი ქალაქის არხის გადღმა მდებარე ნავთობსაცავებს მოედო. მაშინვე აფეთქდა 3.000 კილოლიტრი ტევადობის ორი ავზი. ხანძარი უკვე ასზე მეტ სახლს მოედო. სახანძრო რაზმები, სამხედრო ქვეგანაყოფები და ნიიგატის მცხოვრებლები, რომლებიც ამ რაიონში აღმოჩნდნენ, ცეცხლს ებრძვიან, ცდილობენ შეაჩერონ მისი იერიში ქალაქზე.

17 ივნისის 11 საათის ცნობით, მიწისძვრამ ზიანი მიაყენა ცხრა პრეფექტურას. დაიღუპა 24 კაცი, 10 უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 288 დაშავდა. დაინგრა 10.600-ზე მეტი სახლი, წყლით დაიფარა 13.530 სახლი. წყალმა დაფარა 7.785 ჰექტარი ნათესი. წყლის ნიაღვარმა წაიღეკა 23 ჯგუბირი და 55 ხიდი. 66 ადგილზე ჩამოწვა მეწყერი. 300 პუნქტში დაირღვა რკინიგზისა და სავტომობილო მოძრაობა.

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

რ ო მ ი, 16 ივნისი. (საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იტყობინება:

დიდი წარმატება ხვდათ წილად კომუნისტებს მუნიციპალურ არჩევნებში, რომელიც წარსულ კვირას გაიმართა ქალაქ ალბანოში, რომის მახლობლად. ამ არჩევნებში კომუნისტური პარტიის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 37,7 პროცენტმა (წინა არჩევნებში — 32,9 პროცენტმა). ამიერიდან ალბანოს მუნიციპალური საბჭოს 30 წევრს შორის კომუნისტური პარტიის 13 წარმომადგენელი იქნება (წინათ იყო 10).

ამავე დროს იტალიის ხელისუფლების სათავეში მდგომი კოალიციის ყველა პარტიამ, — ქრისტიან-დემოკრატებმა, სოციალ-დემოკრატებმა, რესპუბლიკელებმა და სოციალისტებმა — მოაგროვა გაცილებით ნაკლები ხმა, ვიდრე წინა მუნიციპალურ არჩევნებში. ყველა ეს პარტია, ერთად, ახალ საბჭოში მიიღებს 15 ადგილს, 4 ადგილით ნაკლებს, ვიდრე წინა საბჭოში ჰქონდა. ამომრჩეველები დაკარგეს უკიდურესმა მემარჯვენე პარტიებმაც.

ამრიგად, მთავრობის პარტიებმა ვერ მოიპოვეს ადგილების უმრავლესობა მუნიციპალურ საბჭოში.

ᲛᲔᲠᲔᲓᲘᲗᲘᲡ ᲣᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ბონი, 17 ივნისი. (საკდესი). დპა-ს საგენტოს იმ ცნობასთან დაკავშირებით, რომ ვიზები გაუუქმეს სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის მსახიობებს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს პრესის ნიუანრით „ბონი“ დაჯილდოებულია ჩეხოსლოვაკიის ფილმი „ლიმონათის ჯო“. საუკეთესო დადგმისათვის პრემიით აღინიშნა ფილმი „დეიდა ტულა“ (ესპანეთი). ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრემია მიენიჭა ამერიკელ მსახიობს ავა გარდნერს, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის — ფრანგ მსახიობს მორის ბიროს და ინგლისელ მსახიობს რიჩარდ ალტენბოროს.

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ

ᲑᲐᲗᲣᲚᲘ კვირის დასასრულს ძლიერმა ქარიშხალმა გადაუარა ჰაიდერაბადის რაიონს (დასავლეთი პაკისტანი). ქარიშხლის შედეგად დაიღუპა 250 კაცი, დაინგრა 3.000 სახლი, დაიღუპა ბევრი პირუტყვი. ქარიშხლით მიყენებული ზარალი 25 მილიონ რუპიას შეადგენს. (საკდესი).

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐ-ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ

ნ ი უ-ი ო რ კ ი, 17 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იუწყება: ძუძუთა ბავშვების ყიდვა-გაყიდვა ამერიკის შეერთებული შტატების შავ ბაზარზე ისეთი მასშტაბით წარმოებს, რომ ახლა სენატის ბავშვთა დამნაშავეობის საკითხთა კვლევამისაც კი გახდა იძულებული ხელი მოჰკიდოს ამ საკითხს. გამოძიებამ ცხადყო, რომ ბავშვთა ფარული ყიდვა-გაყიდვა გახდა ბიზნესი, რასაც ფართოდ მიმართავენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. გაყიდული ჩვილი ბავშვების უმრავლესობას შეადგენენ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვები. ფარული ორგანიზაციები, ბიზნესმენი-იურისტები, ხშირად კი ექიმებიც სარგებლობენ მარტოხელა დედების ან მრავალშვილიანი ოჯახების გაჭირვებით და ათმობინებენ ხოლმე ბავშვს, შემდეგ კი უშვილო ოჯახში ჰყიდიან მას 4.000 — 7.500 დოლარად. ბავშვებს შტატიდან შტატში და საზღვარგარეთაც კი ჰყიდიან.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲡᲝᲕᲔᲑᲘ

40 ათასამდე კაცი დაიღუპა იაპონიაში შარშან სხვადასხვაგვარი უბედური შემთხვევის შედეგად. ყველაზე მეტია ბუჩის შემთხვევათა მსხვერპლი: 15 ათასი კაცი.

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

რ ო მ ი, 16 ივნისი. (საკდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იტყობინება:

დიდი წარმატება ხვდათ წილად კომუნისტებს მუნიციპალურ არჩევნებში, რომელიც წარსულ კვირას გაიმართა ქალაქ ალბანოში, რომის მახლობლად. ამ არჩევნებში კომუნისტური პარტიის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 37,7 პროცენტმა (წინა არჩევნებში — 32,9 პროცენტმა). ამიერიდან ალბანოს მუნიციპალური საბჭოს 30 წევრს შორის კომუნისტური პარტიის 13 წარმომადგენელი იქნება (წინათ იყო 10).

ამავე დროს იტალიის ხელისუფლების სათავეში მდგომი კოალიციის ყველა პარტიამ, — ქრისტიან-დემოკრატებმა, სოციალ-დემოკრატებმა, რესპუბლიკელებმა და სოციალისტებმა — მოაგროვა გაცილებით ნაკლები ხმა, ვიდრე წინა მუნიციპალურ არჩევნებში. ყველა ეს პარტია, ერთად, ახალ საბჭოში მიიღებს 15 ადგილს, 4 ადგილით ნაკლებს, ვიდრე წინა საბჭოში ჰქონდა. ამომრჩეველები დაკარგეს უკიდურესმა მემარჯვენე პარტიებმაც.

ამრიგად, მთავრობის პარტიებმა ვერ მოიპოვეს ადგილების უმრავლესობა მუნიციპალურ საბჭოში.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲐ

ჯაკარტა, 16 ივნისი (საკდესისა და „პრავდის“ კორესპონდენტები). „საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ინდონეზიაში, უეჭველია, კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობასა და თანამშრომლობას, რაც ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს. ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს აგრეთვე ურთიერთგაგების შემდგომ გაღრმავებას და ამ იდეალების განხორციელებას, რომლებსაც ჩვენი ხალხები ესწრაფვიან“, — განაცხადა საკდესისა და „პრავდის“ კორესპონდენტებთან საუბარში ინდონეზიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ჰაირულ სალეჰმა იმასთან დაკავშირებით, რომ ინდონეზიაში ვიზიტად მოელიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილის ა. ი. მიკოიანის მეთაურობით.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საბჭოთა კავშირის საპარლამენტო დელეგაციას მეთაურობს საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ანასტას მიკოიანი, განაგრძო ჰაირულ სალეჰმა. ჩვენთვის ცნობილია, თუ რა მაღალი მდგომარეობა უკავია ა. ი. მიკოიანს საბჭოთა კავშირის მთავრობაში. იგი საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეა. სავსებით ბუნებრივია, რომ ინდონეზიის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა პარლამენტარების ვიზიტს. ამ ვიზიტს ინდონეზიის საზოგადოებრიობაც დიდ ყურადღებას უთმობს.

დარწმუნებული ვარ, თქვა ჰაირულ სალეჰმა, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროებში.

ჩვენ დიდად ვიფასებთ საბჭოთა კავშირთან მეგობრობას, განაგრძო ჰაირულ სალეჰმა. მნიშვნელოვანი და კონკრეტული წვლილი, რომელიც საბჭოთა კავშირს შეაქვს დამოუკიდებელი ინდონეზიის განვითარებაში, ამავე დროს წვლილია იმ საქმეში, რისთვისაც იბრძვიან აზიისა და აფრიკის ხალხები. საბჭოთა კავშირი მეგობრობაზე მარტო ლაპარაკობს, მაგალითად, ნ. ს. ხრუშჩოვის ამსწინანდელი ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. ვიზიტმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირი რეალურ დახმარებას უწევს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას და აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებს არა მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, არამედ თავდაცვითი ძლიერებისა და ეკონომიური ძლიერების შექმნაში. ისეთი პოზიცია ჩვენ სწორ პოზიციად მიგვაჩნია.

ინდონეზიის პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სუბამიამ თქვა: „ისეთი მეგობარი სახელმწიფოს წარმომადგენლთა კეთილი ნების ყოველ ვიზიტს, როგორიც ჩვენთვის საბჭოთა კავშირია, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ნელს უწყობს ურთიერთობისა და პირადი კონტაქტების განმტკიცებას. ეს ვიზიტები ხელს უწყობს აგრეთვე ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების გაუმჯობესებას. სსრ კავშირის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ინდონეზიაში შეესაბამება ჩვენი სახელმწიფოების ინტერესებს, ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში“.

ვ. მატიაში,
ვ. შურიგინი.

ᲠᲝᲙᲤᲔᲚᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲔᲒᲓᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 17 ივნისი. (საკდესი). ნიუიორკის შტატის გუბერნატორი მილიარდერი ნელსონ როკფელერი, რომელმაც დამარცხება განიცადა პრეზიდენტი არჩევნების დროს კალიფორნიაში, ვეღარ გაგრძელებს ბრძოლას იმისათვის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელონ რესპუბლიკური პარტიისაგან. მან მოუწოდა თავის მომხრეებს ხმა მისცენ უ. სკრენტონს.

ᲛᲔᲓᲚᲔᲒᲘ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲡ

პ ა რ ი ზ ი, 17 ივნისი (საკდესი). გუშინ საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის საბჭომ საბჭოთა კოსმონავტებს მიანიჭა უმაღლესი ჯილდოები 1963 წლის თვალსაჩინო მიღწევებისათვის კოსმონავტიკისა და ავიაციის დარგში. საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის საბჭომ მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა დაჯილდოვა ოქროს მედლით „კოსმოსი“.

ვალერი ბიკოვსკის მიენიჭა „დე ლა ვოს სახელობის“ საერთაშორისო მედალი კოსმოსში ამსოლუტური მსოფლიო რეკორდის დამყარებისათვის 1963 წელს.

ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲘᲗᲠᲐᲓ ᲓᲐᲕᲔᲡᲮᲜᲔᲜ ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲘᲡ ᲡᲠᲣᲤᲔᲚᲡ

**ნ ი უ-ი ო რ კ ი

მოსკოვიდან გვატყობინებენ

წიგნი და მეგობაროგა

გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“ წელს გამოუშვებს სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის წარმომადგენელ მწერალთა 130-მდე წიგნს. მათ შორის ცოტა როდია წიგნები, რომლებიც საქართველოს მწერლების კალამს ეკუთვნის.

რუსი მკითხველები პირველად გაეცნობიან **ელიზბარ ზედგინიძის** რომანს **„გაზაფხული დაიწყო ადრე“**, რომელიც მძიმენილია ოჯახისა და ქორწინების საკითხებისადმი, ადამიანის ხასიათის აღზრდის, ცხოვრების გზის არჩევის პრობლემისადმი.

აფხაზი მწერლის იეახე თარბას რომანი **„ცნობილი სახელი“** განზრახულია გამოიცეს მეორე კვარტალში. აფხაზმა პოეტმა თავისი ეს პირველი პროზაული ნაწარმოები მიუძღვნა მთის სოფელ ახუცის კოლმეურნეთა საქმეებს და კოლმეურნეობა „კერაზის“ ხელმძღვანელს, რომანის მთავარ გმირს არნოუ ნაურბას.

წელს ხელახლა გამოიცემა **გ. ჩიქოვანის** მოთხრობების წიგნი. კრებულში შეტანილ ნაწარმოებთა შორის არის მოთხრობები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ამბებსა და საკოლმეურნეო მშენებლობის დაწყებაზე, მხედრულ გმირობასა და მეგობრობაზე, ქართული საკოლმეურნეო სოფლის დღევანდელ ცხოვრებაზე.

გამომცემლობის პოეზიის რიდაქცია ამთავრებს მთელ მოსამზადებელ მუშაობას საქართველოს პოეტების ნაწარმოებთა კრებულების გამოცემისათვის. დიდ სერიაში „პოეტის ბიბლიოთეკა“ გამოდის **ტიციან ტაბიძის** ლექსებიანა და პოემების ერთტომეული, სიმონ ჩიქოვანის შესავალი სტატია გააცნობს რუს მკითხველებს ტიციან ტაბიძის შემოქმედებასა და ცხოვრების გზას.

ტიციან ტაბიძის შემოქმედება, მისი ლექსები, პოემები წიგნში წარმოდგენილია ცნობილი რუსი მთარგმნელი-პოეტების ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკის, პ. ანტოკოლსკის, ნ. ზაბოლოცკის და სხვათა თარგმანებით.

პოეზიის მოყვარულთ შეუძლიათ შეიძინონ ქართული ლირიკის ერთ-ერთი ვეტერანის, რუს მკითხველთათვის კარგად ცნობილი პოეტის **კარლო კალაძის** ამ დღეებში გამოცემული ლექსთა კრებული. მაგრამ ამჯერად მკითხველები კ. კალაძის წიგნში იპოვნიან ახალ, მათთვის ჯერ კიდევ უცნობ ნაწარმოებებს.

კიტა ბუაჩიძის „ეზოში აკი ძაღლია“, „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“ და სხვა ქომედიები შევა მის ნაწარმოებთა კრებულში, რომელიც მალე გამოვა რუსულ ენაზე.

ნ. სტორი.

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ?

კᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

1963 ᲬᲚᲘᲡ სექტემბერში ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი ნარკვევებზე საუკეთესო აგიტატორის შესახებ.

კონკურსის ეიურიმ პირველი და მეორე პრემია არც ერთ ნარკვევს არ მიანიჭა. მესამე პრემია მიეკუთვნა **ო. ფირცხალავას** ნარკვევს „აგიტატორის ხიდი“.

გ. კაკაკაᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ნარკვევს „საბჭოთა ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი“ და **ი. ტაბიძის** ნარკვევს „მართალი სიტყვის ძალა“ რეკომენდაცია მიეცა დასაბეჭდად.

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

გ ე ბ ე ბ Თ კ ო რ ი. (საკ. კორ.). რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექტივმა (დირექტორი გ. ელიავა) ამას წინათ რესპუბლიკაში პირველად მოაწყო მუზეუმი ცის ქვეშ. იგი შედგება ორი განყოფილებისაგან, სადაც ასახულია ოქტომბრის რევოლუციამდელი ქართველი გლეხის კარმიდამო და მეგენახეობა.

მუზეუმი მნახველებს აცნობს იმ ეთნოგრაფიულ ერთეულებს, რომლებისგანაც შედგებოდა წინათ გლეხის კარმიდამო: ფაცხა, ბეღელი, სასიმინდე, საღორე, საკათმე. მოწყობილია ქართა — საქონლის ჩისი — თავისი დამახასიათებელი ეთნოგრაფიული მხარეებით: შუკა, ჩხანჯი, ანუ საქონლის შესაწვიმებელი ფარდული, ეზო, შემოკავებული მესრითა და ღობით. ირგვლივ შემოვლებულია ხურმის ხის ანგარი. ხეებზე მიშვებულია უძველესი ძველკოლხური. ვაზის ჯიშები.

ეზოში მოწყობილია მარანი ცის ქვეშ და წყურგილი - წყაროსთვალი. გამოფენილია სამიწათმოქმედო ინვენტარი და ნივთები — კავი, ფარცი და სხვ. ყველა ნივთს, ნაგებობას და სამეურნეო ერთეულს აქვს შესაბამისი ტექსტი, რომელიც მიუთითებს მათს მნიშვნელობაზე, ისტორიაზე.



„ᲣᲫᲐᲠᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲗᲐ“, რომელიც ქალაქიდან 6-7 კილომეტრზე — „ᲑᲖᲘᲒᲝᲠᲐᲡᲗᲐᲜ“ მდებარეობს, აქაურ მშრომელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. მის წყალს მინდვრების მოსარწყავადაც იყენებენ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ალპინიზმის ისტორიას თუ გადაფურცლავთ, შეგხვდებათ ადამიანთა სახელები, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩვენში მთამსვლელობის საუკეთესო ტრადიციების დამკვიდრება, მისი შემდგომი განვითარება.

მათ შორის არიან შოთა და დეკი მიქელაძეები. ვინ იყვნენ ისინი? მათემატიკოსი და ფილოსოფოსი — პირველი, გეოლოგი და ბუნებისმეტყველი — მეორე. მაგრამ, რაც მთავარია, ორივენი იყვნენ ქართული ალპინიზმის უანგარო მოღვაწენი, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა დაიპყრეს უშბა, მყინვარწვერი, იალბუზი, მეცნიერულად შეისწავლეს საქართველოს მაღალმთიანი რაიონები, მათი ბუნებრივი და ეკონომიური პირობები.

მრავალმხრივი და მაღალნაყოფიერი იყო ამ ორი ქართველი მოღვაწის საქმიანობა, რომლებიც სულ ახალგაზრდები ტრაგიკულად დაიღუპნენ. შოთა — 1932 წელს, დეკი — 1934 წელს.

ამ ორი შესანიშნავი ადამიანის ხსოვნას მიეძღვნა საღამო, რომელიც ამ დღეებში საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ ჰოაწყო ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის საკლუბო დარბაზში.

აქ შეიკრიბნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, გეოგრაფიისა და გეოლოგიურ მეცნიერებათა მოღვაწეები, შოთას და დეკის მახლობლები, მეგობრები, საქართველოს ალპინიზმის ვეტერანები, ახალგაზრდა მთამსვლელები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. გიგინეიშვილმა.

შოთა და დეკი მიქელაძეების ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება გააკეთა გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ალპინიზმის პირველმა ოსტატმა დ. წერეთელმა.

წარუშლელი და სასახელოა მათი კვალი ქართული ალპინიზმის განვითარების ისტორიაში.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ — ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ-ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ-ᲓᲐᲜᲘᲐ — 3:0

ᲑᲐᲠᲪᲔᲚᲝᲜᲐᲡ სტადიონზე, რომელიც 110 ათას მაყურებელს იტევს, ევროპის თასის ნახევარფინალისტებს — საბჭოთა კავშირისა და დანიის ფეხბურთელთა ნაკრებს გუნდებს ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. მოეწყო მატჩისწინა საზეიმო ცერემონიალი, ყღერდა დანიის, სსრ კავშირისა და ესპანეთის სახელმწიფო ჰიმნები.

იტალიელი მსაჯის **ლოგელლის** სასტვენის ხმამ მაყურებლებს ასპარეზობის დაწყება ამცნო.

აი მეტოქეთა შემადგენლობა: **სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ** — იაშინი, შუსტიკოვი, შესტერნევი, ანიჩკინი, მუდრიკი, ვორონინი, ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, გუსაროვი, ჰუსაინოვი; **ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ** — ლეიფ ნილსენი, იორგენ ჰანსენი, კაი ჰანსენი, ბენკ ჰანსენი, ბირგერ ლარსენი, ერლინ ნილსენი, კარლ ბერტელსენი, კელდ ფროსტი, ოლე მადსენი, ოლე სოერენსენი, ჯონ დანიელსენი.

საბჭოთა ფეხბურთელებმა თავდაღანე შეუტიეს მეტოქეს. იერიშს იერიში მოსდევდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩვენი ბარეგრძელები. უკვე მე-4 წუთზე შესანიშნავად გაიკრა წინ ჩისლენკო, მაგრამ დაიკარგა ხელსაყრელი მომენტი. დანიელთა კონტრთამაშეს უმთავრესად ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა, ამავე დროს იგი არ იყო მძაფრი.

როგორც ყოველთვის, ამ მატჩშიც თავი გამოიჩინა ჩვენმა სახელოვანმა ფეხბურთელმა ვორონინმა. სწორედ მან გახსნა ანგარიში მოულოდნელი და შეუჩერებელი დარტყმით. ეს მოხდა მე-19 წუთზე. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ფეხბურთელებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ივანოვის შესანიშნავი მიწოდებით ᲞᲝᲜᲔᲓᲔᲚᲜᲘᲙᲘᲛᲐ მეორე ბურთი გაიტანა დანიელთა კარში.

ფაქტიურად მატჩის ბედი უკვე გადწყვეტილი იყო. ამიტომ მეორე ნახევარში თამაში შედარებით დაბალ ტემპში წარიმართა. მიუხედავად ამისა, შეხვედრის ბოლო წუთში დანიის გუნდის ბადე მესამედ შეირხა. გოლის ავტორი იყო ივანოვი.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 3:0 და ფინალში გავიდა. ფინალში კი 21 ივნისს მადრიდში შეხვდება ესპანეთის ნაკრებს.

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ — ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ — 2:1

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡᲐ და ესპანეთის ნაკრებთა გუშინდელი ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში ევროპის თასზე არა მარტო ამ ორი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს სპორტის მოყვარულთა უურადღების ცენტრში იდგა.

ეს შეხვედრა გაიმართა ქ. მადრიდში. იგი გამოირჩეოდა თასისათვის დამახასიათებელი შეუპოვარი ბრძოლით. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. სუარესის მიწოდებული ბურთი უნგრელთა კარში პერედამ გაიტანა.

მეორე ნახევარში უნგრელები მთელი ძალებით ამოქმედდნენ, მაგრამ ესპანელები ზუსტად იცავდნენ თავიანთი კარის მისადგომებს. მიუხედავად ამისა თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე სტუმრებმა წონასწორობა აღადგინეს. საპასუხო გოლის ავტორი ტიხი იყო.

90 წუთი ამოიწურა — 1:1.

დანიშნა დამატებითი დრო. ესპანელმა ამანსიომ შეძლო მეორე და გადამწყვეტი ბურთის გატანა. გიამარჯვეს მასპინძლებმა 2:1.

ამრიგად, **ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲒᲐᲒᲘᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ.**

ᲝᲗᲮᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ ბათუმში დამთავრდა წყალბურთელთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები, აგრეთვე „დინამოს“, პროფკავშირებისა და არმიის გუნდები.

ოლიმპიელებმა წარმატებით ჩაატარეს ბრძოლა, მოიგეს ყველა მატჩი და ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს.

„ᲖᲔᲜᲘᲗᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐ, 17 ივნისი. (საკდესი). ლენინგრადის „ზენიტმა“ ანგარიშით 1:0 დამარცხა ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი ფეხბურთში პორტუგალიის „ბენფიკას“ საკლუბო გუნდი. ამ გამარჯვებით ლენინგრადელებმა პირველი ორი ქულა ჩაიწერეს საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობენ აგრეთვე იტალიის „ფიორენტინასა“ და ბრაზილიის „სან-პაულოს“ გუნდები.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

„ᲑᲐᲠᲒᲐᲙᲐᲜᲘᲡ“ ᲗᲐᲡᲘ — Გ. ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ

ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲠᲒᲐ სპორტსმენი იბრძოდა ქრაკოვში „ბარბაკანის“ თასისათვის დაწნილი ფარიკაობაში. სსრ კავშირიდან მონაწილეობდნენ გ. კოსტავა, ბ. ხაბაროვი, ი. სმოლიაკოვი, გ. კრისი, ა. ნიკანჩიკოვი და დ. ლიულინი.

ბრძოლის პირველი ეტაპი ექვსივე საბჭოთა მოფარიკაველმ დაუმარცხებლად განვლო, უძლიერესთა თექვსმეტეულში კი მხოლოდ ა. ნიკანჩიკოვი ვერ მოხვდა. ჩვენს ხუთეულთან ერთად დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა პოლონეთის შვიდმა და შვეიცის ოთხმა მოფარიკაველმ.

წარმატებით იბრძოდა თბილისელი გ. კოსტავა. ნახევარფინალში მან დაამარცხა ი. სმოლიაკოვი ანგარიშით 10:7, შემდეგ ფინალში მოუგო ბ. ხაბაროვს 10:4 და „ბარბაკანის“ თასი მოიპოვა.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი ემზადება პოლონეთის ტურნესათვის. გუშინ დინამოელებმა თავიანთ მოედანზე გამართეს ამბანაგური მატჩი თბილისის „ლოკომოტივთან“.

ლოკომოტიველებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 „დინამოს“ სასარგებლოდ. გოლის ავტორი იყო ხუციშვილი.

მეორე ნახევარში ლოკომოტიველებმა აპრესიანმა შეძლო წონასწორობის აღდგენა. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ: ლეკვეკვა, ბ. სიჭინავა, პატრიოშვილი, ზენიკლიშვილი, ცხოვრებოვი, ხარტიშვილი, გ. სიჭინავა, მეტრეველი, ბარქაია, ხუციშვილი, დათუნაშვილი.

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა, რომელიც 16 ივნისს შედგა, მოიგეს დინამოელებმა 7:0.

ᲨᲣᲢᲔᲠᲘᲜ ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ამსტერდამის საზონათაშორისო საკალათბურთო ტურნირზე გათამაშდა ოცდამეერთე ტური.

დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ჩემპიონის შტეინისა და გათამაშების ლიდერის ლარსენის პარტიამ. საბჭოთა გროსმაისტერმა თეთრებით დებიუტიდან უკეთესი პოზიცია მიიღო, შემდეგ მან მოახერხა ეტლით მოწინააღმდეგის ბანაკში შეერა, მოიგო პაიკი და მასთან ერთად პარტიაც.

წარმატებით იბრძოდა ტალი. 29-ე სვლაზე მან აიძულა კვინნესი დანებებულიყო. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი და იგკოვი ყაიმზე შეთანხმდნენ, ყაიმით დამთავრდა აგრეთვე პახმან-ვარანშინის და ბენკო-ბერგერის პარტიები, ლენდიელმა მოუგო პორატს, დანარჩენი პარტიები გადადიდო. ბრონშტეინსა და სპასკის უკეთესი პოზიციები აქვთ დარგასთან და როსტოსთან.

ოცდაერთი ტურის შემდეგ სპასკის 15,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ტალსა და ლარსენს — 15,5 ქულა თვითეულს, სმისლოვს 15 ქულა და ერთი გადადებული პარტია, შტეინს — 14,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ᲩᲘᲜᲔᲒᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

Კ Რ Ა Კ ᲝᲕ ᲨᲘ დაიწყო „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. აქ პირველობას ერთმანეთს ეცილებიან სსრ კავშირის, პოლონეთის, გდრ-ს, უნგრეთის, ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების კალათბურთელთა კოლექტივები.

სსრ კავშირის „დინამოს“ გუნდმა, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია თბილისელი კალათბურთელებით, ჩინეთი სტარტი აიღო, დამარცხა ჩეხოსლოვაკიელი კალათბურთელები 79:47. ჩინეთის გუნდმა მოუგო უნგრელ კალათბურთელებს 78:46.

სამეცნიერო ლაბორატორიებში

ᲐᲗᲔᲠᲝᲡᲙᲚᲔᲠᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ

ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ △ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲣᲩᲘᲗᲔᲣᲚᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ △ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲛ ᲪᲮᲐᲓᲧᲝ: ᲐᲗᲔᲠᲝᲡᲙᲚᲔᲠᲝᲖᲘᲡ! △ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲣᲯᲠᲔᲓᲝᲑᲘᲡ? △ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲘᲪᲘᲪᲘᲚᲝᲗ ᲐᲗᲔᲠᲝᲡᲙᲚᲔᲠᲝᲖᲘᲡ? △ ᲥᲕᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲪᲘᲕᲡ ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲘᲡᲒᲘᲠᲘᲜᲘᲡ! △ ᲡᲐᲒᲘᲠᲝᲛᲐ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲡᲒᲘᲠᲘᲜᲘᲡ!

ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲕᲘᲗ: ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ ᲫᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲒᲘᲜᲔᲑ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲒᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ. ᲔᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲐᲡᲐᲪ ᲔᲑᲔᲑᲐ.

შეგუების უმარტივესი რეაქციები უკვე მზად არის ორგანიზმში მისი დაბადების მომენტისათვის, მაგრამ პირობები ყოველდღე, ყოველ საათს იცვლება. ცოცხალი ორგანიზმი სწრაფად ეგუება მათ, ზუსტად ეხმაურება ახალ, სხვადასხვა გამაღიზიანებლებს — თორემ აუცილებლად დაიღუპება. მაგრამ ფსიქიკის შეგუების შესაძლებლობანი უსაზღვრო როდია.

ლენინგრადის პედიატრიულ სამედიცინო ინსტიტუტში გამოიკვლიეს ძაღლები, რომელთა ნერვული სისტემა ხანგრძლივად განიცდიდა მწვავე ფუნქციონალურ დაძაბვას. ეს ცხოველები სხვადასხვა დროს საცდელად იყენენ გამოყენებული პირობითი რეფლექსების სისტემის შესწავლისას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის ლაბორატორიებში.

ადამიანი წვრთნის ძაღლს, ასწავლის მას იმსახუროს დარჯად, მონადირედ, ცხოველიც სწრაფად „თვისებს“, თუ რას სთხოვენ მას, და ადამიანის მორჩილი თანაშემწე ხდება.

მაგრამ აი ძაღლი სრულიად უჩვეულო პირობებში — ადამიანის ლაბორატორიაში ხვდება, ურთულესი გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების ობიექტი და უშუალო მონაწილე ხდება. ძაღლის ნერვული აპარატის დატვირთვა უზომოდ იზრდება. და უეცრად ვამჩნევთ, რომ იგი ცუდად არის, რომ იგი კარგავს სხვადასხვა გაღიზიანებაზე სწრაფი და ზუსტი რეაგირების უნარს.

რა არის უეცარი ცვლილების მიზეზი? რა „ხრახნი“ გამოვიდა მწყობრიდან ძაღლის ტვინის მექანიზმში?

მსხვილი სისხლძარღვების — ფილტვის არტერიის, აორტის, მსხვილ სისხლძარღვთა მომიჯნავე უბნების და ტვინის სისხლძარღვების გამოკვლევამ ცხადყო: ათეროსკლეროზია!

დღემდე ათეროსკლეროზის წარმოშობისა და მიზეზების საკითხი გაურკვეველი რჩებოდა, მეცნიერებს ერთიანი თვალსაზრისი არ ჰქონდათ: ზოგს მიაჩნდა, რომ დაავადების მიზეზია ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების დარღვევა, სხვები ფიქრობდნენ, რომ ათეროსკლეროზი უშუალოდ დაკავშირებულია უჯრედების დაბერების ბუნებრივ პროცესთან. ძაღლებზე გაკეთებულმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა ის ვარაუდი, რომ ათეროსკლეროზის წარმოშობა და ნერვული აპარატის გადატვირთვა ურთიერთდაკავშირებული არიან.

დიდი ნახევარსფეროების ქერქის უჯრედების ყოველი აგზნებისას მათში ურთულესი ბიოლოგიური, ქიმიური და ელექტრული პროცესები ხდება, მუდამ წარმოვს ნივთიერებათა ცვლა. როცა უჯრედები ხანგრძლივად არიან აგზნებული, მათში ნივთიერებათა ცვლა ირღვევა, ისინი თანდათან იქანცებიან, მათი შემდგომი აგზნების უნარი მცირდება.

ეს დარღვევანი იწვევენ უჯრედებიდან ლიპოიდების — ცხიმის მსგავსი წარმონაქმნების გამოყოფას. ლიპოიდები იწყებენ სისხლძარღვების კედლებზე დალექვას, სისხლძარღვების ხვრეტები ვიწროვდება, ზოგჯერ კი (ბალთების წარმოქმნისას) დაიცობა. შემდეგ უჯრედებში ნივთიერებათა ცვლა კიდევ უფრო ირღვევა — სისხლი დროულად ვეღარ აღწევს — ათეროსკლეროზი კიდევ უფრო ინტენსიურად ვითარდება.

ამრიგად, ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების დარღვევა და ათეროსკლეროზი ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია. ერთი გარდუვალად იწვევს მეორეს.

რას ნიშნავს ეს? შეიძლება თუ არა თავიდან აგვიცილოთ ათეროსკლეროზის წარმოშობა? როგორ დავიცვათ ნერვული სისტემა ზედმეტი დატვირთვისაგან?

როცა ნერვული უჯრედების ხანგრძლივი აგზნება მათი ამტანობის ზღვარს აღემატება, როცა უჯრედებს ემუქრება დაღუპვა გამოფიტვისაგან, ისინი თვითონ იცავენ თავს: მათში ვითარდება დამუხრუჭების პროცესი. მაგალითად, ღვიძილი გარდუვალად იცვლება ძილით. ამ დროს უჯრედებში გროვდება მარაგი საკვები ნივთიერებებისა, რომლებიც ტვინში შედიან სისხლთან ერთად, და უჯრედები კვლავ იძენენ აგზნების უნარს.

ყველამ იცის, რა მნიშვნელობა აქვს წესიერ ძილს ნერვული სისტემის ნორმალური მუშაობისათვის. ადამიანს, რომელსაც ხანგრძლივად აწუხებს უძილობა, ნერვული სისტემა ექანცება, ხოლო ზოგჯერ ფსიქიკური დაავადებაც კი ეწყება.

ტვინის მექანიზმს თავდაცვის ბევრი საშუალება აქვს. მაგალითად, ადამიანის მეხსიერება უამრავ განცდას, სახეს, შთაბეჭდილებას იტევს, მაგრამ ადამიანს დავიწყების უნარიც აქვს — ესეც ერთ-ერთი საშუალებაა იმისა, რომ ნერვული სისტემა დაცულ იქნას ზედმეტი დაძაბვისაგან.

მაგრამ მუდმივი ფსიქიკური გადატვირთვისას ორგანიზმის თავდაცვის საშუალებებს აღარ ძალუძთ თავიდან აიცილონ ნერვული სისტემის ნელი გამოფიტვის, გაბეზეთის პროცესი. საჭიროა გონივრული ფსიქოპიგიენა. რეგულარული ძილი, გონივრული დასვენება, ფიზიკური და გონებრივი შრომის ურთიერთ შენაცვლება, სუფთა ჰაერი, კვების სწორი რეჟიმი, ტვინის „ფიზკულტურა“ — ყოველივე ეს ნერვული სისტემის ნორმალური მუშაობისა და ათეროსკლეროზის პროფილაქტიკის აუცილებელი პირობებია.

ᲚᲘᲓᲘᲜᲝᲕᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 3. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲚᲔᲑᲐᲡ 1964/65 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚ (ᲓᲦᲘᲡ). ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚ (ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲗ) ᲓᲐ ᲝᲠᲬᲚᲘᲐᲜ ᲕᲝᲙᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲒᲐᲜᲧᲝ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲗ:

ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲝᲡ ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲖᲔ ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, სიმღერის, საგუნდო დირიჟორობის, კომპოზიციის, მუსიკისმცოდნეობის სპეციალობით.

დაუსწრებელ განყოფილებაზე ფორტეპიანოს (მხოლოდ იმათთვის, ვინც ქ. თბილისის ფარგლებს გარეთ მუშაობს), საორკესტრო საკრავების, საგუნდო დირიჟორობის, კომპოზიციის, მუსიკისმცოდნეობის სპეციალობით.

მოსამზადებელ ორწლიან განყოფილებაზე სიმღერის სპეციალობით.

კონსერვატორიაში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ დამთავრებული საშუალო განათლება, წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლებაზე — 35 წლამდე ასაკისა, ხოლო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ (დაუსწრებელი და საღამოს) სწავლებაზე — ასაკის განუსაზღვრელად. მიღება იწარმოებს ყველაზე ღირსეულთა საკონკურსო შერჩევის გზით, რომელიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს, მომზადებული და ნიჭიერი არიან და წარადგენენ დადებით დახასიათებას კონსერვატორიაში შესასწავლად.

კონსერვატორიაში დღის დასწრებულ **განყოფილებაზე შემსწავლელებს უნდა ჰქონდეთ საშუალო სპეციალური საასწავლებლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკული მუშაობის 3 წლის სტაჟი.** პრაქტიკული მუშაობის სტაჟი დადასტურებული უნდა იყოს შრომის წიგნაკში ან კოლმეურნეობის წიგნაკში ჩანაწერით. სტაჟი ითვლება 1 სექტემბრისათვის.

აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვება იმათ, ვინც **გამოშვების 5 პროცენტშია შეტანილი ან აქვს ფრიადოსნის დიპლომი.**

საორკესტრო საკრავების და სიმღერის სპეციალობებით უსტაჟოდ დაიშვებიან აგრეთვე ის პირნი, რომელთაც სპეციალობაში გამოსაშვებ გამოცდებზე მიღებული აქვთ ნიშანი ფრიადი (5) ან კარგი (4).

საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე შემსწავლელთა შორის უპირატესობა მიეცემათ იმ პირებს, რომელთა მუშაობის ჩასაბამი შეესაბამება კონსერვატორიაში შერჩეულ ან მის მონათესავე სპეციალობას.

მისაღები გამოცდებისაგან სპეციალობაში არც ერთი აბიტურიენტი არ თავისუფლდება.

კონსერვატორიის დღის, საღამოს და **დაუსწრებელ განყოფილებებზე შემსწავლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. სპეციალობა. 2. კოლოქვიუმი, 3. სოლფეჯიო** — წერა და ზეპირი; 4. **მუსიკის თეორია** — წერა და ზეპირი (სიმღერის სპეციალობით შემსწავლელთათვის), 5. **მარმონია** — წერა და ზეპირი (ყველა განყოფილებზე გარდა „სიმღერის“ სპეციალობისა); 6. **მუსიკის ლიტერატურა** — მუსიკისმცოდნეობისა და კომპოზიციის სპეციალობებზე შემსწავლელთათვის; 7. **საერთო ფორტეპიანო** — მუსიკისმცოდნეობის, კომპოზიციის და საგუნდო დირიჟორობის სპეციალობებზე შემსწავლელთათვის (საორკესტრო საკრავების და სიმღერის სპეციალობებზე შემომსწავლელნი მოწმდებიან საერთო ფორტეპიანოს მხრივ); 8. **სსრკ ისტორია** — ზეპირი (ყველასათვის); 9. **ქართული ენა და ლიტერატურა** — წერა და ზეპირი (ქართულ სექტორზე შემსწავლელთათვის) და **რუსული ენა და ლიტერატურა** — წერა და ზეპირი (რუსულ სექტორზე შემსწავლელთათვის).

მოსამზადებელ ვოკალურ განყოფილებაზე შემსწავლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს: 1. **სპე